ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

ლევან მოდებაძე

ისრაელის გეოპოლიტიკური კოდი და სირიის სამოქალაქო ომი

ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები

ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის

მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი ვახტანგ მაისაია,

გიორგი გოგსაძე

2018

წელი

ანოტაცია

ნაშრომი იწყება გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების და მისი ისტორიული ტრანსფორმაციის შესახებ საუბრით, რომელსაც მოჰყვება გეოპოლიტიკური კოდის არსის განსაზღვრა და გეოპოლიტიკური კოდის კლასიფიკაცია. ნაშრომი ეხება თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს გამოწვევას სირიის სამოქალაქო ომს, რომელიც უკვე მეშვიდე წელია მიმდინარეობს და ბოლო არ უჩანს. სირიის სამოქალაქო ომი წარმოდგენილია მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში. მოყვანილია მიზეზები და ფაქტორები XXI საუკუნის ყველაზე დიდი კონფლიქტისა და ასევე დასახელებულია ამ კონფლიქტის განვითარების შესაძლო ვარიანტები, ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურად მიყფე რეგიონის ფონზე. ნაშრომი განიხილავს სირიის კონფლიქტისადმი დამოკიდებულებას მსოფლიო გლობალური გეოპოლიტიკურ მოთამასშებისა და რეგიონალური გეოპოლიტიკური მოთამაშეების პოზიციებს და მათ ინტერესებს, რამაც გამოუვალ კრიზისამდე მიიყვანა სირიაში ვითარება. ერთ-ერთი რეგიონალური გეოპოლიტიკური მოთამაშე არის ისრაელი, რომელსაც ფართო ინტერესები გააჩნია სირიის კონფლიქტისადმი და, ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, მთავარი განსახილველი თემა არის ისრაელის პოზიცია და დამოკიდებულება სირიის სამოქალაქო ომის მიმართ.

ნაშრომში დახასიათებულია ისრაელის სახელმწიფოს თავისებურებები ისტორიულ-გეოგრაფიულ ჭრილში, განსაზღვრულია ისრაელის გეოპოლიტიკური კოდი და ამის ფონზე საუბარია ისრაელის ინტერესების შესახებ სირიის სამოქალაქო ომში, რომელსაც განსაზღვრავს ისრაელ-სირიის ურთიერთობის ისტორია, გეოგრაფია და ტერიტორიული დავა. ერთ-ერთი მთავარი თემაა ისრაელ-ირანის ურთიერთობა, რომელიც განსაზღვრავს, დიდ წილად, ისრაელის დამოკიდებულებას ასადის სირიის მიმართ. გამახვილებულია ყურადღება რელიგიურ ფაქტორზე, ასადის შიიტურ-ალავიტური რეჟიმი ჰესბოლასთან ერთად კარგი დასაყრდენია შიიტური ირანისათვის მისი უმთავრესი რეგიონალური მტრის ისრაელის მიმართ, ამის ფონზე განხილულია ისრაელის პოლიტიკა და შესაძლო შიიტური კოალიციის შექმნა (ირანი, სირია, ჰესბოლა) პატარა ისრაელის წინააღმდეგ. თავის მხრივ, საუბარია ისრაელის პოლიტიკური ზომების შესახებ, რომელსაც ატარებს სირიის კონფლიქტის მიმართ.

ბოლოს ნაშრომი ეხება სამომავლო პერსპექტივებს, სირიის კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზებს, ისრაელ-სირიის ურთიერთობის მოგვარების ურთულესი ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობებს და ამ ამოცანის გადაჭრაში მსოფლიო ზესახელმწიფოების როლს, რომელთა პოლიტიკა რეგიონში დღეისათვის არ არის თანმიმდევრული, მაგრამ სამომავლო პერსპექტივაში შეიძლება ეს პრობლემა გამოსწორდეს. ნაშრომის უმთავრესი ამოცანაა აქ დასახელებულ პრობლემებზე ნათელი წარმოდგენის შექმნა, პრობლემებისადმი გამკლავების არსებული გზების დასახელება და შესაძლო გზების გამონახვის ალბათობა, თუ პერსპექტივა.

Annotation

The paper begins with the discussion about the geopolitics as a developing science and its historical transformations, followed by the definition of the geopolitical code and its classifications. The MA thesis is about the Crisis in Syria - the greatest challenge of the world today, which has been occurring inextricably for the last seven years. The analysis of Syrian civil war is presented in a cause-effect point of view. There are brought several reasons and factors of this biggest armed conflict of the XXI century and the possible future scenarios, in the light of geopolitically fragile region of the Middle East, are identified. The paper discusses the attitudes of the global geopolitical actors and regional players toward the Syrian conflict which made political circumstances in Syria so interlocked. One of the main regional geopolitical players in the Middle East – Israel, has number of interest in the Syrian crisis and, as it shown in the title of the paper, the main topic of discussion here is the Israeli's attitude towards the Syrian civil war.

The paper clearly defines the features of the State of Israel in the historical-geographical setting, as well as the geopolitical code of Israel, its interest (influenced by Israeli-Syrian Relations, geography and territorial disputes) toward the civil war in Syria. One of the main topics in the paper is the Israeli-Iranian relationship that largely defines Tel Aviv's attitude towards Syria's Assad. Religious factors are also highlighted in the paper, - Syrian Shia-Alawitian regime along with Hezbollah has been a great source of support for Tehran against its main regional enemy - Israel, and Tel Aviv's politics and the creation of a possible Shia coalition (Iran, Syria, Hezbollah) against Israel are reviewed in this light. On the other hand, the political measures taken by Israel against Syrian conflict are also studied.

The last paragraph of the paper discusses future scenarios, possible ways to end the crisis in Syria, the perspectives to solve Israeli-Syrian harsh political relationship, and the role of world's superpowers, which do not play consistent politics in the region by now, to solve this problem. The main purpose of the paper is to give a clear imagine about the problems given here, to identify the possible ways of dealing with these problems and finding "way outs" or/and perspectives.

სარჩევი

შესავალი.....გვ.6-7

თავი I - გეოპოლიტიკა და ისრაელი გეოპოლიტიკურ ჭრილში.....გვ.8-22

ქვეთავი I- გეოპოლიტიკა და გეოპოლიტიკური კოდის რაობა.....გვ.8-13

ქვეთავი II- ისრაელის გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებები.გვ.13-19

ქვეთავი III- ისრაელის გეოპოლიტიკური კოდის არსი.....გვ.19-22

თავი II- სირიის სამოქალაქო ომის ისტორიულ-გეოგრაფიული წანამძღვრები და ისრაელის დამოკიდებულება კომფლიქტის მიმართ, მიზეზები და შედეგები.....გვ.23-41

ქვეთავი I- არაბული გაზაფხული და მისი გავლენა რეგიონზე, სირიის მაგალითი.....გვ.23-35

ქვეთავი II- ისრაელის გეოპოლიტიკური ინტერესი სირიის სამოქალაქო ომში.....გვ.35-41

თავი III- საფრთხეები დღეს და სამომავლოდ, პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები დროის ჭრილში.....გვ.42-50

ქვეთავი I- ისრაელის უსაფრთხოების დილემა სირიის ომის მაგალითზე.გვ.42-46

ქვეთავი II- სირია-ისრაელის ურთიერთობის დარეგულირების გზები დღეს დასამომავლო პერსპექტივაში.....გვ.46-50

დასკვნა.....გვ.51-52

გამოყენებული ლიტერატურა.....გვ.53-54

შესავალი

სირიის კონფლიქტის შესახებ უამრავი რამ დაწერილა და იწერება, ასევე ამ კონფლიქტში მონაწილე ქვეყნებზე, თუ კონფლიქტისადმი ინტერესის მქონე ქვეყნებზე, რომელთა შორისაც არის ისრაელი, მაგრამ ყველაზე ნაკლები ისრელის ინტერესებზე არის დაწერილი, ხოლო ქართულად ამის შესახებ თითქმის არაფერი შექმნილა, საკითხის მნიშვნელობის მიუხედავად.

სირიის სამოქალაქო ომი დიდი ხანია თავსატეხად ექცა მსოფლიოს. კონფლიქტის დასასრულს კი ბოლო არ უჩანს. სირიის კონფლიქტი გადაიქცა მსოფლიოს სხავადასხვა ქვეყნების დაპირისპირების ავანსცენად. სირია აღმოჩნდა ქვეყანა, სადაც არაბული გაზაფხული შეყოვნდა და ყველაზე დიდი წინააღმდეგობას წააწყდა, რომლის მთავარი მიზეზი აღმოჩნდა ასადი, მის გარშემო არსებული ერთგული ალავიტური სამხედრო, თუ პოლიტიკური ელიტა და შემდეგ რუსეთის ფედერაციისა და ირანის აქტიური მხარდაჭერა. საბოლოო ჯამში, მსოფლიომ მიიღო კონფლიქტური კერა სადაც ყველას საკუთარი ინტერესები და მიზნები ამოძრავებს ეს „ყველა“ კი არც თუ ცოტანი არიან : თურქეთი, ევროპის კავშირი, აშშ, რუსეთის ფედერაცია, ირანის ისლამური რესპუბლიკა, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები და ისრაელი. აღნიშნული ქვეყნების ინტერესები და მიზნები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა, ზოგიერთი მათგანს კი საერთოდ ანტაგონისტური ხასიათი აქვს.

ისრაელი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომელსაც საკუთარი დამოკიდებულება და მიზნები გააჩნია სირიის კონფლიქტის მიმართ. ისრაელის სახელმწიფოს 70 წლიანი არსებობის პერიოდში არ ჰქონია სირიასთან ნორმალური ურთიერთობა, განსაკუთრებით მას მერე რაც ორ ქვეყანას სადაო გაუხდა გოლანის მაღლობლები და დღემდე აქვს პრეტენზია სირიას აღნიშნული ტერიტორიის მიმართ. თემის საკვლევ კითხვას წარმოადგენს შემდეგი: რა გავლენას ახდენს ისრაელის გეოპოლიტიკური კოდი სირიის ომის დინამიკაზე და, პირიქით, როგორ აისახება ისრაელის გეოპოლიტიკაზე სირიის კონფლიქტი?

ისრაელისათვის სირიის კონფლიქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ კომფლიქტის გამოყენება მის წინააღმდეგ შეუძლია, მისავე პრინციპულ მტერს ირანის

ისლამურ რესპუბლიკას. ასე რომ, სირიაში ისრაელისა და ირანის ურთიერთ საწინააღმდეგო ინტერესები იკვეთება, რომელიც ისრაელ-ირანის ისედაც რთულ ურთიერთობას კიდევ უფრო ამძიმებს. ჯერ ისედაც არამოყვრული ახლოაღმოსავლეთის გარემო კიდევ უფრო საფრთხის შემცველი ხდება ისრაელის სახელმწიფოსათვის. სირიის კონფლიქტმა შესაძლებელი გახადა ისრაელის წინაარმდეგ დიდი ძალების მობილიზება. ჯერჯერობით ისრაელი მოწოდების სიმაღლეზეა, მაგრამ სამომავლო პერსპექტივაში, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურად მყიფე რეგიონი ძნელად პროგნოზირებადია, მაგრამ ისრაელსაც ექნება აუცილებლად სამომავლო გეგმის გარკვეული ვარიაციები.

თავი I

გეოპოლიტიკა და ისრაელი გეოპოლიტიკურ ჭრილში

ქვეთავი I

გეოპოლიტიკა და გეოპოლიტიკური კოდის რაობა

სიტყვა „გეოპოლიტიკამ“ დიდი აქტუალობა შეიძინა თანამედროვე მსოფლიოში. დღეს უამრავი პოლიტიკოსის, ჟურნალისტისა თუ დიპლომატის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია გეოპოლიტაკა. საიდან მოდის ეს სიტყვა, რა მნიშვნელობა აქვს და როდის ჩნდება აღნიშნული ტერმინი პოლიტიკური ლექსიკის ნაწილი? ტერმინი გეოპოლიტიკა დამკვიდრდა XX საუკუნის დასაწყისში, უშუალოდ შვედი მეცნიერის კიელინის (ჩელენის) მიერ. რაც შეეხება თავად გეოპოლიტიკას, როგორც მეცნიერულ კონცეფციას, ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ფრიდრიხ რატცელისა და რუდოლფ ჩელენის ნაშრომები (დვითაშვილი, ჟურნალი პოლიტიკა N12. გვ.9-10) გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების, ფესვები კიდევ უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ. გეოპოლიტიკის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ გეოგრაფიული დეტერმინიზმი რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში იღებს. გეოგრაფიული დეტერმინიზმი შეისწავლიდა საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში გეოგრაფიული სივრცის როლს. ამის შესახებ თავიანთი მოსაზრებები ჰქონდათ ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფოსებს: პოლიბიუსს, ჰიპოკრატს, სოკრატესა და პლატონს. პოლიბიუსი და ჰიპოკრატე მიიჩნევდნენ, რომ ყველაზე ძლიერი საზოგადოება შეიძლება შეიქმნას ზომიერ კლიმატის პირობებში, რადგან ცხელი კლიმატის პირობებში ადამიანი ზარმაცდება, ხოლო ძალიან ცივი კლიმატის პირობებში ადამიანი მხოლოდ ბიოლოგიური გადარჩენაზე ზრუნვას. რაც შეეხება პლატონსა და სოკრატეს, მათ დაუკავშირეს პირველად გეოგრაფიული პირობები პოლიტიკას. მაგალითად, პლატონი თვლიდა, რომ მთიანი რელიეფის ქვეყნისათვის შესაფერისი პოლიტიკური რეჟიმი დემოკრატიაა, ხოლო გაშლილი რელიეფის მქონე ქვეყნისათვის ავტოკრატია. არისტოტელეს აზრით კი - პატარა ქვეყნისათვის მართველობის

შესაფერისი ფორმა რესპუბლიკაა, ხოლო დიდი ქვეყნებისათვის მონარქია და კიდევ უფრო დიდი ქვეყნისათვის იმპერია (გორგილაძე, 2009. გვ. 12). შუა საუკუნეების თეოკრატიული საზოგადოების პირობებში გეოგრაფიულმა დეტერმინიზმმა განვითარება ვერ ჰპოვა, რადგან, თითქმის, ყოველივეს ამხსნელი რელიგია გახდა. მოგვიანებით არაბულ სამყაროში ჩნდება იბნ კალდუნი (ქალდუნი) ხოლო შემდეგ ფრანგი ჟან ბოდენი რომელმაც გეოგრაფიისა და საზოგადოების განვითარებას შორის კავშირი საინტერესოდ ახსნა. ბოდენის განმარტებით, ჩრდილოეთ ევროპის ხალხები არიან ფიზიკურად ძლიერნი და მამაცები, მაგრამ გონებით ჩამორჩებიან სამხრეთ ევროპელებს, სამხრეთ ევროპელები კი შედარებით სუსტები მხდალები და ზარმაცები არიან. გამორჩეულია XIXს-ის რუსი გეოგრაფის ლევ მეჩნიკოვის მოსაზრება, რომელიც საზოგადოების განვითარების მთავარ გეოგრაფიულ ფაქტორად წყალს მიიჩნევს და მსოფლიო ისტორიას ყოფს გეოგრაფიული ნომეკლატურების ნიშნით: 1) მდინარული ცივილიზაციები, ეგვიპტე შუამდინარეთი. 2) ზღვიური (ხმელთაშუაზღვიური) ცივილიზაციები საბერძნეთი, რომი, კართაგენი. ჰერდენი შენიშნავს: „ხმელთაშუა ზღვა ცენტრალურ აზიაში რომ ყოფილიყო არსებითად განსხვავებული იქნებოდა კაცობრიობის ისტორია“ 3)ოკეანური ცივილიზაციები: ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები და აშშ. მართლაც ამ შემთხვეაში გეოგრაფიული მდებარეობა გახდა აღნიშნული ცივილიზაციების წარმოშობისა და პოლიტიკური სიძლიერის მიზეზი. ნილოსი გახდა იმის მიზეზი რომ ეგვიპტე იყო ძველი სამყაროს „ბეღელი“ ხმელთაშუა ზღვა კი ელინიზმისა და რომაული კულტურის გავრცელების მთავარი ფაქტორი, ხოლო ბრიტანეთი მსოფლიო იმპერიად იქცა იმიტომ რომ იყო კუნძულოვანი ქვეყანა და მის ხელში აღმოჩნდა ყოველგვარი ბერკეტი ახალი მიწების აღმოჩენის შემდეგ არ ჰყოლოდა შესაფერისი კონკურენტი იმპერიალიზმში. ფრანგი განმანათლებლის მონტესკიეს ერთ-ერთი ნაშრომის „კანონთა წიგნი“ მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება კლიმატის სივრცესა და საზოგადოების ფორმირებაზე გავლენას. თომას ბლოკი იმასაც აღნიშნავს რომ ბრიტანეთი, გარდა იმისა რომ კოლონიალისტური პოლიტიკა ყველაზე კარგად გამოსდიოდა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სამხედრო თავდაცვსაც საუკეთესოდ ახერხებდა, ისევ და ისევ კუნძულოვანი მდებარეობის საშუალებით. XIX საუკუნეში გერმანელმა მეცნიერმა

ფრიდრიხ რატცელმა საზოგადოებას უწოდა ცოცხალი ორგანიზმი და როგორც დარვინის ნაშრომში „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით“ ძლიერის გადარჩენის შესახებ, რატცელმაც დაასკვნა რომ საზოგადოებას არსებობისათვის სჭირდება შესაბამისი სივრცე. რატცელის დროიდან იწყება ე.წ გეოდეტერმინიზმის გადასვლა გეოპოლიტიკაში, ხოლო რატცელის, თეორიული გეოპოლიტიკის შემქმნელის მოწაფემ, რუდოლფ ჩელენმა შემოიღო ტერმინი „გეოპოლიტიკა“. რატცელისა და ჩელენის შემდეგ გეოპოლიტიკას სრულყოფილი მეცნიერების იერი ჰაროლდ მაკინდერმა და ალფერდ მეხენმა შესძინეს.

მნიშვნელოვანი წვლილი გეოპოლიტიკის განვითარებაში შეიტანა ინგლისელმა გეოგრაფმა ჰელფორდ მაკინდერმა (1861-1947). მან პირველმა მოხაზა საკმაოდ შთამბეჭდავი მსოფლიოს გლობალური სახმელეთო მოდელი. მაკინდერი ასწვლიდა ოქსფორდში შემდეგ კი ხელმძღვანელობდა ლონდონის ეკონომიკურ სკოლას. 1910 წლიდან 1922 წლამდე იყო თემთა პალატის წევრი. მისი იდეების პირველი სერიოზული გამოხატულება იყო 1904 წელს ბრიტანეთის გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე გაკეთებული მოხსენება „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის“ შესახე. მაკინდერის რწმენით, პლანეტარული თვალსაზრისით სამყაროს ცენტრში დგას ევრაზიის კონტინენტი, ხოლო მის ცენტრში –„სამყაროს გულში“ ან „ჰართლენდში“ - შუამდებარე მიწა – რომელიც არის მსოფლიოს კონტროლის მნიშვნელოვნად ხელსაყრელი გეოგრაფიული პლაცდარმი. „ჰართლენდი“ მოიცავს პირველყოვლისა რუსეთს, ბალტიის ზღვას, დუნაის, მცირე აზიას (თურქეთს), ამიერკავკასიას, ირანს, მონღოლეთს. აღმოსავლეთსა და სამხრეთში „ჰართლენდი“ შემოისაზღვრება ქვეყნებით, რომლებიც ქმნიან მუსონურ სასაზღვრო ზოლს“ და „არაბეთის რაიონს“. „ჰართლენდსა“ და ევროპის სანაპირო სარტყელს შორის დემარკაციულ ზონას წარმოადგენდა გერმანია. გეოპოლიტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები ჩრდილო ამერიკა, იაპონია, ავსტრალია, აფრიკა და ინგლისი მაკინდერის რუკაზე მიეკუთვნებიან „საგარეო ან კუნძულოვან ხაზს“. რომ არ მოხდეს მოვლენათა არასასურველი განვითარება, საზღვაო ქვეყნები (აშშ, ინგლისი და იაპონია) უნდა გაერთიანდნენ და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ „ჰართლენდის“ სიღრმეებში შესაღწევად. ამ მიმართებით მეტად მნიშვნელოვანია შავსა და ბალტიის ზღვებს შორის არსებული აღმოსავლეთ ევროპის

ტერიტორია. მაკინდერის გეოპოლიტიკურმა კანონმა 3 დებულების სახით დიდი მნიშვნელობა შეიძინა: ის, ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, აკონტროლებს „ჰართლენდს“, ვინც აკონტროლებს „ჰართლენდს“, ის აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ვინც აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ის აკონტროლებს მთელ სამყაროს. აღმოსავლეთ ევროპა – ეს არის „ჰართლენდის“ გული, რომელიც, პირველყოვლისა, მოიცავს რუსეთის ნაწილს, ბალტიისპირეთს, პოლონეთსა და ფინეთს - ჩრდილოეთში და ბალკანეთის ქვეყნებს სამხრეთში. ჰართლენდი მოიცავს ევრაზიის შიდა, უკიდეგანო სივრცეს, სადაც, მაკინდერის აზრით, სტრატეგიულ როლს რუსეთი თამაშობს და წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის ღერძისეული რეგიონის ევრაზიულ რაიონს, რომელიც მიუწვდომელია გემებისათვის, მაგრამ უძველესი დროიდან მოყოლებული მისაწვდომია მომთაბარეთათვის. აქ არის მრავლის მომცემი და იმავდროულად განსაზღვრული პირობები. რუსეთმა აქ შეცვალა მონღოლეთის იმპერია. ზეწოლამ ფინეთზე, სკანდინავიაზე, პოლონეთზე, თურქეთზე, სპარსეთზე, ინდოეთზე და ჩინეთზე შეანელა სტეპელთა მუდმივი დარბევები (დავითაშვილი, ჟურნალი პოლიტიკა N12. გვ.12-13). დღეს ის ცენტრალურ, სტრატეგიულ მდგომარეობას ინარჩუნებს, რომელიც ევროპაში გერმანიამ დაიჭირა, მას ყველა მიმართულებით (ჩრდილოეთის გამოკლებით) შეუძლია მიიტანოს და იმავდროულად მოიგერიოს იერიში. ამ მობილურობის განვითარების პიკი მხოლოდ დროის საკითხია. ვერანაირი სოციალური რევოლუცია ვერ შეცვლის მის დამოკიდებულებას გეოგრაფიულ საზღვრებთან დაკავშირებით. მაკინდერი არ გამორიცხავს რუსეთის შესაძლო ზრდას ღერძისეულ ზოლში (რომლის შედეგი შეიძლება იყოს „ახალი მსოფლიო იმპერიის“ შექმნა), ან კიდევ მის არასასურველ დასუსტებას რომელიმე აზიური სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომელიც შეიძლება იყოს ჩინეთი, გამომდინარე ამ ქვეყნის მზარდი ეკონომიკის გამო (გორგილაძე, 2009. გვ. 19-24). როგორც ზბიგნევ ბზეჟინსკი თავის ყველაზე ცნობილ გეოპოლიტიკურ ნაშრომში „დიდი საჭადრაკო დაფა“ აღნიშნავს აშშ არის მსოფლიო ისტორიის განმავლობაში ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელიც ევრაზიის კონტინენტს გარეთაა (ბზეჟინსკი, 2014. გვ.51), მაგრამ ისტორიას და თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას თუ გადავხედავთ აშშ დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მაკინდერისეულ ჰართლენდში პოზიციების გამყარებას და იქ აშშ-ს გავლენის გაზრდას.

ადმირალ ალფერდ მეხენის ნაშრომი „საზღვაო ძალის გავლენა ისტორიაზე“ ნათლად ასახავს თალოსოკრატიული ქვეყნის გეოპოლიტიკურ უპირატესობაზე იმ დროინდელ მსოფლიოში (გორგილაძე. 2009. გვ.19-20). ერთ-ერთი გამორჩეული გეოპოლიტიკური ნაშრომია ბზიგნევ ბზეზინსკის „დიდი საჭადრაკო დაფა“, რომელიც ხსნის პოსტსაბჭოთა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და ამ სამყაროს უპირობო გეოპოლიტიკურ ლიდერის აშშ-ს სიძლიერეს. გეოპოლიტიკის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მეცნიერება არის პოლიტოლოგიისა და გეოგრაფიის სინთეზი, პოლიტიკის ანალიზი გეოგრაფიულ სივრცეში. გეოპოლიტიკის ნაწილია გეოპოლიტიკური კოდის ცნება. გეოპოლიტიკური კოდი არის ქვეყნის გეოპოლიტიკური მიზნებისა და ვექტორების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მათავარ ქვაკუთხედს. რაც უფრო მოქნილია სახელმწიფოს გეოპოლიტიკური კოდი, მით უფრო ძლიერია ქვეყანა გეოპოლიტიკურ ასპარეზზე. ყველა ქვეყანას გააჩნია საკუთარი გეოპოლიტიკური კოდი, და თითოეული მათგანი დიდად დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, კერძოდ დიდი და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური კოდი განსაზღვრავს პატარა ქვეყნების გეოპოლიტიკურ კოდს. სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური კოდების ერთმანეთთან თავსებადობა განსაზღვრავს გეოპოლიტიკური სისტემის წესრიგს (დავითაშვილი, ჟურნალი პოლიტიკა, N12. გვ.6-5). განირჩევა სამი დონის გეოპოლიტიკური კოდი ლოკალური, რეგიონალური და გლობალური, იმის და მიხედვით, თუ როგორი პოლიტიკური სიძლიერის ქვეყანაა. ლოკალური გეოპოლიტიკური კოდი გააჩნია ყველა სახელმწიფოს, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობასა და ყვეყნის სუვერენიტეტის უპირობო დაცვას გულისხმობს. რეგიონალური გეოპოლიტიკური კოდი გააჩნია ყველა სახელმწიფოს რეგიონალურ დონეზე მოთამაშეს, რომელსაც პრეტენზია აქვს რეგიონალურ ლიდერობაზე და რეგიონში მისი პოლიტიკური თამაშის წესების დაწესებაზე. რაც შეეხება გლობალურ გეოპოლიტიკური კოდს, ის გააჩნია მსოფლიოში ყველაზე ცოტა სახელმწიფოს, რომელიც გულისხმობს აღნიშნული სახელმწიფოთა პოლიტიკურ გავლენას მთელ მსოფლიოში (დავითაშვილი, ჟურნალი პოლიტიკა, N12.გვ 6). ისტორიის განმავლობაში ასეთი ქვეყნები იყვნენ: ესპანეთი გერმანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, და საბჭოთა კავშირი. სწორედ აღნიშნული ქვეყნების გეოპოლიტიკური კოდების

შეუთავსებლობა იწვევდა დიდ ომებს, მათ შორის ორ უდიდეს სამხედრო დაპირისპირებას ორო მსოფლიო ომის სახით. ლოკალური და რეგიონალური დონის გეოპოლიტიკურ კოდებს ძირითადად განსაზღვრავს ზესახელმწიფოთა გლობალური დონის გეოპოლიტიკური კოდები.

ქვეთავი II

ისრაელის გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებები

ისრაელი მდებარეობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რომელიც, პოლიტიკურად ყველაზე არამდგრად რეგიონად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც, ერთი მხრივ, არის დიქტატორული რეჟიმები, ხოლო, მეორე მხრივ, რეგიონი არის ტერორიზმის მთავარი წარმომშობი ადგილი. ამ ფონზე ისრაელსა და ებრაელებს იქ მოყვრულად არავინ უყურებს. უზარმაზარ ისლამურ სამყაროში არის პატარა ებრაული სახელმწოფო, რომლის პოლიტიკური იმუნიტეტიც აღნიშნულმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ განსაზღვრა. ისრაელს მეზობლებთან აქვს ტერიტორიული დავა და ამასთანავე მის ტერიტორიაზე არის ორი არაბული ადმინისტრაციული ერთეული, პალესტინის ავტონმია და ღაზას სექტორი. დღევანდელ ისრაელის ტერიტორიას სიონისტებიც კი არასაიმედოდ მიიჩნევდნენ ებრაული თემის დასასახლებლად და მსოფლიოს ალტერნატიულ ადგილებს განიხილავდნენ ებრაული სახელმწიფოს შესაქმნელად. როგორც მთელი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა, პალესტინის ტერიტორიაც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი მოწყობის უმთავრესი ტერიტორია იყო. ისრაელის გეოპოლიტიკური მდებარეობის განსაზღვრისათვის აუცილებელია თვალი გადავავლოთ წარსულს.

1917 წელს იერუსალიმში შევიდა ბრიტანელი გენერალი ედმუნდ ალემბი და ამით დაესვა ოსმალურ მმართველობას წერტილი პალესტინაში. ამავე წელს გამოქვეყნდა ცნობილი ბალფურის დეკლარაცია, რომელიც ნებას რთავდა და ლეგალურს ხდიდა ებრაელების პალესტინაში დასახლებას, მაშინ, როდესაც ბრიტანეთი მექის შარიფს

ჰუსეინს ერთიანი არაბული სახელმწიფოს შექმნას ჰპირდებოდა (გაჩეჩილაძე, 2011.გვ.219). ბალფურის დეკლარაციამდეც არსებობდა უკვე ებრაული დასახლებები პალესტინაში, მაგრამ ბალფურის დეკლარაციამ დიდად გაზარდა ებრაული მოსახლეობ. ევროპელი ებრაელების კაპიტალი ხმარდებოდა პალესტინაში მიწის შეძენას. მატერიალურად გაჭირვებული არაბებიც უდაბურ მიწას ჰყიდიდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბლფურის დეკლარაციაში არ იყო ნებართვა აქ მომავალში ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ (გაჩეჩილაძე, 2011. გვ.224). 1922-1947 წლებში პალესტინის მართვის მანდატი დიდი ბრიტანეთის ხელთ იყო. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის ებრაელთა ჩასახლება პალესტინაში არათანმიმდევრული იყო, ბრიტანეთმა, არაბული სამყაროსთან სიტუაციის დაძაბვის შიშით, მეორე მსოფლიო ომამდე რამდენჯერმე გამოსცა ე.წ თეთრი წიგნი, რომელიც კრძალავდა ებრაელების პალესტინაში ჩასახლებას. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სპეციალური კომისია შექმნა რობერტ პილის მეთაურობით, რომელმაც თავის „თეთრ წიგნში“ 1937 წელს ბრიტანეთის მთავრობას შესთავაზა პალესტინაზე მანდატის დასრულება და სამანრდატო ტერიტორიის არაბულ და ებრაულ ნაწილად გაყოფა. ბრიტანეთის მანდატის ქვეშ კი დარჩებოდა იერუსალიმი, ზღვასე გასასვლელით ქალაქ იაფოში. პილის კომისიის მომზადებული გეგმა მიუღებელი აღმოჩნდა არაბებისათვისაც და ებრაელებისათვისაც, იმის გათვალისწინებით, რომ ამ გეგმით არაბებს პალესტინის 60 პროცენტზე მეტი რჩებოდა (გაჩეჩილაძე, 2011. გვ.380). არაბებმა თავიანთი არაპრაგმატული პოლიტიკით კიდევ მეტად შეუწყვეს ხელი ებრაელთა პოლიტიკურ წარმატებას. 1939 წელს ბრიტანეთმა მეორე მსოფლიო ომში, არაბთა ანტიბრიტანული პოზიციის დაკავების შიშით, გამოსცა მომდევნო თეთრი წიგნი, რომელიც ითვალისწინებდა 10 წელიწადში პალესტინაში ერთიანი სახელმწიფოს შექმნას და ამავდროულად ზღუდავდა ებრაულ ემიგრაციას. ამ შემთხვევაშიდაც ბრიტანეთმა არაბებს იმედები გაუცრუვა და, მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული კომპლექსით ებრაელების მიმართ, ევროპამ ლოიალური პოლიტიკის გატარება ამჯობინა ებრაული იმიგრაციის მიმართ პალესტინაში, რაც სავსებით ბუნებრივია. 1947 წელს დიდმა ბრიტანეთმა პალესტინის მანდატზე უარი თქვა და ის ახალ შექმნილ გაეროს დაუთმო. 1947 წლის 29 ნომბერს გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად პალესტინა იყოფოდა ორ ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ, ხოლო

იერუსალიმი უნდა ყოფილიყო საერათაშორისო კონტროლის ქვეშ. არაბებს ეძლეოდათ პალესტინის თითქმის 44 პროცენტი, ხოლო ებრაელებს 56 პროცენტი (გაჩეჩილაძე, 2011. გვ.381-383). ებრაელებმა აღნიშნული მიიღეს არაბებმა კი არ მიიღეს და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან პილის კომისია მათ ამაზე მეტს სთავაზობდა და არაბებმა არ მიიღეს, ახლა კი უფრო ნაკლებ ტერიტორიაზე დათანხმება პრესტიჟის საქმეც იყო. 1948 წლის 14 მაისს ებრაელებმა დამოუკიდეებელი ქვეყნის ისრაელის შექმნა გამოაცხადეს, რაც, რა თქმა უნდა, გახდა ომის მიზეზი არაბულ კოალიციასთან. არაბული ქვეყნების ლიგამ, რომელიც 1945 წელს შეიქმნა, ომი გამოუცხადა 15 მაისს ისრაელს. ისრაელმა ომში დიდ წარმატებას მიაღწია, რაც დამსახურება იყო, გარკვეულ წილად, ჩეხოსლოვაკიის მიერ, სტალინის ნებართვით მიყიდული „მსერშმიტის“ ტიპის თვითმფრინავებით. დამოუკიდებლობისათვის ომში 1948-1949 წლებში ისრაელის წარმატების მიზეზი არაბული ქვეყნების არაერთსულოვნებაც იყო. არსებობს მოსაზრებებიც, რომ ტრანსიორდანიის მეფე აბდალა სიონისტებს გაურიგდა. საბოლოო ჯამში, ისრაელმა მიიღო სამანდატო პალესტინის 78 პროცენტი, თან ისე რომ იქ არაბული სახელმწიფოც არ შექმნილა (გაჩეჩილაძე 2011. გვ.387). გეოპოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა 1967 წლის ივნისში 6 დღიანი ომის შემდეგ, როდესაც ისრაელის მთავარმა მოწინააღმდეგე ძალამ ეგვიპტემ ტირანიის სრუტე ჩაკეტა და ამით ისრაელის საპორტო ქალაქი ეილათი დაიბლოკა, ამასთანავე სინაის ნახევარ კუნძულზე ეგვიპტემ დაიწყო სამხედრო ძალის მობილიზაცია. 4 ივნისს ეგვიპტე-იორდანიის თავდაცვით ხელშეკრულებას შეუერთდა ერაყი. ისრაელი ომის გარდაუვალობაში დარწმუნდა და წინმსწრები დარტყმა განახორციელა, თავისი თავდაცვითი ტერიტორიის სიმცირის გამო, რაც სავსებით პრაგმატული ნაბიჯი იყო, ყოველ შემთხვევაში ეს ომის შედეგმა დაადასტურა. 5 ივნისს გამთენიისას ისრელმა, აღჭურვილმა ახალი ფრანგული სამხედრო თვითმფრინავებით, იერიში მიიტანა ეგვიპტეზე და ჩანასახშივე მოსპო ეგვიპტის სამხედრო სამზადისი ისრაელის წინააღმდეგ. ისრაელმა ამით დიდი უპირატესობა მოიპოვა. ისრაელმა დაიკავა სინაის ნახევარ კუნძული და მიადგა სუეცის არხს. რაც შეეხება აღმოსავლეთს, აქ სირიამ და იორდანიამ შეუთანხმებლად დაიწყეს მოქმედება, რაც მათი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი აღმოჩნდა. ისრაელმა დაიკავა სირიის დაქვემდებარებაში არსებული გოლანის მაღლობლები, რომელიც

დღემდა სადავო ტერიტორიაა ისრაელსა და სირიას შორის. ისრაელის ხელში აღმოჩნდა იაორდანიის დაქვემდებარებაში მყოფი „დასავლეთი ნაპირი“ და აღმოსავლეთ იერუსალიმი ძველი ქალაქის ჩათვლით (ჰერცოგი, 2007. გვ.399). ექვს დღიანი ომი სამართლიანადაა მიჩნეული ებრაელთა სამხედრო ტრიუმფად. ამ ომმა არაბულ ქვეყნებს შეუქმნა კომპლექსი ისრაელის უძლეველობის და კიდევ უფრო დიდ სამომავლო კომფრონტაციას დაუდო დაფუძველი. ისრაელმა დიდი ტერიტორიული შენაძენი მიიღო, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ის რომ აქ ისევ უმრავლესობა მოსახლეობისა არაბები იყვნენ. ხართუმის 1967 წლის 2 სექტემბრის არაბული ქვეყნების ლიგის კომფერენციამ ისრაელ-არაბთა მოლაპარაკების პერსპექტივას ხაზი გადაუსვა, როდესაც მიიღეს ე.წ სამი არა: არა ისრაელის ცნობას, არა მოლაპარაკებას ისრაელთან, არა მშვიდობას ისრაელთან (ჰერცოგი, 2007. გვ. 739). პარალერულად ისრაელმა დაიწყო ახალშენების შექმნა გოლანის მაღლობზე, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში. ცხადია, ექვს დღიანი ომის შემდგომი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ახლო აღმოსავლეთში არ ქმნიდა ხანგრძლივი მშვიდობის პერსპექტივას. უზარმაზარ არაბულ სამყაროში პატარა ისრაელს კვლავ არამოყვრული თვალით უყურებდნენ. არაბებმა კვლავ დაიწყეს სამხედრო მოქმედებები ისრაელის წინააღმდეგ. ისრაელისაგან უკვე გამოცდილი მოულოდნელობის ეფექტი, წინმსწრები თავდასხმის სახით, გამოიყენა მთავარმა მეტოქემ ისრაელის წინააღმდეგ. ამას ამძაფრებდა ის რომ ებრაელები ამ დროს აღნიშნავდნენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დღესასწაულს, იომქიფურს (განკითხვის დღე) 6 ოქტომბერს. ეგვიპტემ გადალახა სუვეცის არხი და შეუტია ებრაულ ნაწილებს, ხოლო აღმოსავლეთით სირიამ დაიწყო სამხედრო კამპანია ისრაელის წინააღმდეგ გოლანის მაღლობების დასაბრუნებლად. არაბები ფსიქოლოგიურად გამხნევდნენ, რადგან დაიმსხვრა მითი ისრაელის უძლეველობაზე, მაგრამ ისრაელმა მაინც მოახერხა თავდაცვა და ომამდელი სტატუსქვოს შენარჩუნება. 1977 წელის ნოემბერში მოხდა ისტორიული შეხვედრა ისრაელის პრემიერ მინისტრ მენახემ ბეგინსა და ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათს შორის იერუსალიმში. 1978 წელს კი აშშ-ს პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ხელშეწყობით შედგა მოლაპარაკება კემბ-დევიდში, ხოლო 1979 წლის ვაშინგტონის შეთანხმებით ისრაელმა გაათავისუფლა სინას ნახევარ კუნძული და ეგვიპტესა და ისრაელს შორის აღდგა 1948 წლამდელი საზღვარი, ღაზას სექტორის

გამოკლებით, რომელსაც კონტროლს 1967 წლამდე ისრაელი უწევდა ისევ ისრაელის შემადგენლობაში დარჩა (ჰერცოგი, 2007. გვ.534-538). არააბული ქვეყნებიდან ეგვიპტემ პირველი აღიარა ისრაელის დამოუკიდებლობა, რაც პრეზიდენტ სადათს ძვირი დაუჯდა. ეგვიპტე გარიცხეს არაბული ქვეყნების ლიგიდან, ხოლო 1981 წელს სადათი მოკლა მუსლიმმა ფუნდამენტალისტმა. ისრაელს რაც შეეხება, ისრაელმა მიაღწია არაბული ქვეყნისაგან აღიარებას და ტერიტორიული დავის მოგვარებას სამხრეთ დასავლეთით. მენახემ ბეგინი და სადათი ნობელის პრემიის ლაურიატები გახდნენ მშვიდობის დარგში. 1979 წელს ეგვიპტესთან მიღწეული მშვიდობის პარალერულად, ისრაელის გეოპოლიტიკური მდგომარეობა დასავლეთით გაუარესდა ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინის ავანტურისტული სამხედრო გეგმები ისრაელსაც უქმნიდა საფრთხეს, განსაკუთრებით დიქტატორული ერაყის ბირთვული პროგრამა. ამას დაემატა ირანში ისლამური რევოლუცია და ხელისუფლებაში მოსული ისრაელის მოძულე თეოკრატიული ხელისუფლება. ისრაელი რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა. ისრაელი ჩაერია ლიბანის სამოქალაქო ომში (1975-1990 წწ). ლიბანში ომის მიზეზი გახდა პალესტინელ ლტოლვილთა და ლიბანელ მარონიტთა შორის უთანხმოება. სამოქალაქო ომით ისარგებლა სირიამ, მისი არმია შევიდა ლიბანში, ხოლო 1982 წელს ლიბანში სამხედრო დანაყოფი შეიყვანა ისრაელმა, იქ პალესტინური ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით (გაჩეჩილაძე, 20011. გვ.336). ლიბანის ტერიტორიაზე პირისპირ შეეტაკნენ ისრაელისა და სირიის სამხედრო ნაწილები. ისრაელის არმია სამხრეთ ლიბანში გამაგრდა და იქ შეიქმნა სამხრეთ ლიბანის არმია, რომელიც დაკომლექტებული იყო მუსლიმი ლტოლვილი პალესტინელების მოწინაამდეგე ქრისტიანებისა და დრუზებისაგან, საპირისპიროდ ლიბანში გააქტიურდა სიირიისა და ირანის მხარდაჭერით შიიტური ორგანიზაცია ჰესბოლა, რომელსაც სარაკეტო დარტყმები მიჰქონდა ისრაელის ტერიტორიაზე. 18 წელი იყო ლიბან-ისრაელს შორის კომფლიქტი ვიდრე ისრაელის პრემიერმა ბარაკმა არ მიიღო გადაწყვეტილება ლიბანიდან ჯარის გამოყვანის 2000 წელს, მოგვიანებით კი 2005 წელს სირიის სამხედრო შენაერთებმაც დატოვეს ლიბანის ტერიტორია. ჰესბოლა დღესაც მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელსაც შიიტური ირანი ხშირად იყენებს თავისი უპირველესი რეგიონალური მტრის ისრაელის წინააღმდეგ. 2006 წელს ისრაელის

ლიბანში შეჭრის მიზეზი ზუსტად ჰესბოლა იყო, მან იერიში მიიტანა ხარ-დოვის ბორცვზე მყოფ რაზმზე, აღნისნული ბორცვი ისრაელმა დაიპყრო 1967 წელს სირიასთან ომის დროს, მაგრამ ლიბანი ამ ტერიტორიას თავისად მიიჩნევდა. ისრეალი შეეცადა საბოლოოდ გაენადგურებინა ჰესბოლა, მაგრამ ვერ მოახერხა ჰესბოლას იარაღს აწვდიდა ისრაელის ერთ-ერთი მთავარი მეტოქე სირია, რომელსაც თავის მხრივ საბჭოთა კავშირი ამარაგებდა. ჰესბოლამ დაბომბა ჩრდილოეთ ისრაელი. ისრაელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ლიბანის ტერიტორია. 2000-იანი წლებიდან მოყოლებული ხშირია შეტაკებები ღაზას სეყტორსა და პალესტინის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე არაბებსა და ისრაელს შორის, რომელიც დღესაც გრძელდება დროგამოშვებით.

ისრაელმა ადვილად დააღწია თავი სადამ ჰუსეინის მუქარას, რადგან ჰუსეინი დამარცხდა ორივე სპარსეთის ყურის ომში (1991წ 2003წ) დასავლეთის ქვეყნებთან, ისე რომ, ამ კონფლიქტში ისრაელს მონაწილეობა არ მიუღია და მატერიალური ზარალიც არ განუცდაი, თუ არ ჩავთვლით სკადის ტიპის რაკეტების სროლას ერაყის მიერ თელავივის მიმართულებით. ერაყს სურდა ისრაელის ჩართვა ომში, რაც საერთო კოალიციას შეუქმნიდა საფრთხეს, კოალიციას ჩამოაშორებდა არაბულ ქვეყნებს. ეს კარგად გათვალეს დასავლეთში და ისრაელი ომში არ ჩაბმულა. ასეთმა უახლესმა ისტორიამ განაპირობა დღევანდელი ისრაელის სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ისრაელი დაიბადა ომში და დღემდე ომის საშუალებით არსებობს თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურად მყიფე რეგიონში. მას, ჯერ კიდევ, მოუგვარებელი აქვს ტერიტირიული დავა ორ მეზობელთან, ლიბანთან და სირიასთან. იორდანიის სამეფოსთან საზღვარი დადგენილი აქვს და მდინარე იორდანიის მტკნარი წყალიც გაყოფილი. ეგვიპტე კი იყო პირველი არაბული ქვეყანა, რომელმაც ისრაელი აღიარა და კემდევიდის შეთანხმებით ეგვიპტესთან სასაზღვრო პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისრაელს კეთილმოსურნე თვალით ვინმე უყურებს ამ ქვეყნებში და საერთოდაც არაბულ სამყაროში, თუნდაც იმ მიზეზით, რომ იქ არის ღაზას სექტორი და პალესტინის ავტონომია. გარდა ამისა, არის იერუსალიმთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც რელიგიურ საბურველშია გახვეული. ამ ქალაქთან ემოციური კავშირი აქვს ყველა ქრისტიანს ებრაელსა და მუსლიმს. მუსლიმები იოლად არ დათმობენ მსოფლიოში რიგით მესამე მნიშვნელოვან სალოცავს, მექასა და

მედინას შემდეგ, მით უმეტეს, როდესაც მის კუთვნილებაზე პრეტენზია მუსლიმ პალესტინელებს გააჩნიათ. ამ მხრივ, ვფიქრობ, სრულიად არაპრაგმატული იყო დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება, იერუსლიმის სტატუსის შესახებ, რომელმაც შეიძლება ახალი მასშტაბური დაპირისპირება გამოიწვიოს ებრაელ და არაბ ხალხებს შორის. აშშ-ს, როგორც პირველი ზესახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა კი შეიძლება დაზიანდეს. ასე რომ, ისრაელი შეიქმნა ახლო აღმოსავლეთის არა მდგრად რეგიონში, შუაგულ არაბულ სამყროში და ეს მოცემული გეოპოლიტიკური მდებარეობა ისრაელის იყო და არის დღევენდელი ებრაული სახელმწიფოს თავსატეხი. მისი მეზობლები ეგვიპტე, სირია, ლიბანი და იორდანიის სამეფო არამდგრადი პოლიტიკის ქვეყნებია, რაც ისრაელს ყველაფრის მომლოდინედ აქცევს, იმ ფონზე, როდესაც რეგიონის ერთ-ერთი დიდი ქვეყანა, ირანი, ისრაელის იდეოლოგიური მტერია და ყველაფერს გააკეთებს, იმისათვის, რომ ისრაელს დისკომფორტი გაუჩინოს ნებისმიერი სახით.

ქვეთავი III

ისრაელის გეოპოლიტიკური კოდის არსი

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, ისრაელი დაიბადა ომის ქარცეცხლში და დღემდე საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ისრაელის დამოუკიდებლობა 1948 წელს პირველი აშშ-მ აღიარა და, ამის შემდეგ, ისრაელის გეოპოლიტიკური კოდი დიდად არის დამოკიდებული აშშ-ზე, რასაც უამრავი განმაპირობებელი მიზეზი გააჩნია. გამოაცხადა რა დამოუკიდებლობა ისრაელმა, მას კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული თუ რა სირთულეების გადალახვა მოუწევდა მომავალში. ისრაელის საზელმწიფო იქმნებოდა ცივი ომის პერიოდში და ცხადია მას უნადა აერჩია ორ პოლუსიან სამყაროში მსოფლიო გლობალური მოთამაშე რომელიც მისი მხარდამჭერი იქნებოდა რეგიონში და ეს იყო აშშ, რომელთანაც სტრატეგიულ მოკავშირეობაზე ააგო თავისი საგარეო პოლიტიკა ისრაელმა და დღემდე გრძელდება აღნიშნული ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის, რაც ისრაელის გეოპოლიტიკური კოდის ნაწილია. მიუხედავად იმისა რომ აშშ-ისრაელის

ურთიერთობა ყოველთვის ერთგვარი არ იყო, სხვადასხვა ხელისუფლების ეპოქაში, ისრაელისათვის აშშ-ს ალტერნატივა არასოდეს ყოფილა სხავა რომელიმე გლობალური გეოპლოიტიკური კოდის მქონე ქვეყანა. ისრაელ-აშშ-ს 70 წლიანი ურთიერთობა ცხადყოფს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა არის, თითქოს, რაღაც „გენეტიკურზე“ დამოკიდებული, რომლის სრულყოფილი ახსნისათვის მსოფლიოს უახლესი ისტორიის დაწვრილებითი ანალიზია საჭირო. მცირედი შთაბეჭდილების შესაქმნელად, მაინც რამ განაპირობა აშშ-ისრაელის ასეთი ურთიერთობა? ინტერესი იყო ორმხრივი აშშ-ს სურდა ამ მნიშვნელოვან და მყიფე რეგიონში ჰყოლოდა საიმედო და სტაბილური დასაყრდენი, რომელსაც ისრაელი სავსებით აკმაყოფილებდა, განსაკუთრებით, იმ ფონზე, როდესაც ისრაელის მტრები იყვნენ გამალ აბდელ ნასერის ეგვიპტე და ბაასისტური სირია ასადების მართველობის ქვეშ, რომლებიც საბჭოთა კავშირის მოკავშირეებად იქცნენ. აშშ-ისრაელის ურთიერთობაზე, წლების მანძილზე და ახლაც, მოქმედებდა და მოქმედებს აშშ-ს ებრაული ლობი, რომელსაც თითქმის ყველა მთავრობა ითვალისწინებს აშშ-ში არჩევნების წინ. ამას ამძაფრებს ისიც რომ აშშ-ს ებრაელობა წარმოადგენს უმდიდრეს საზოგადოებას, რაც მათ მნიშვნელობას კიდევ უფრო ანგარიშგასაწევს ხდის აშშ-ში, მაგრამ ებრაული ლობის არსებობა არ განსაზღვრავს, ცალსახად, აშშ-ისრაელის ურთიერთობას, ამ ურთიერთობას ორმხრივი ინტერესები გააჩნია, განსაკუთრებით 1979 წლის შემდეგ, როდესაც ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა, ფეჰლევიანთა მართველობა დასრულდა და ქვეყანაში თეოკრატიული მართველობა დამყარდა. ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავარი მტრად აშშ და ისრაელი გამოცხადდა. შაჰის ირანს თუ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ისრაელთან, რეგიონის ბატონ-პატრონობაზე პრეტენზიის მქონე ისლამურმა რეპუბლიკამ ისრაელი რეგიონის არაორგანულ ნაწილად მიიჩნია და დაიწყო მის მიმართ იდეოლოგიურ საბურველში გახვეული კამპანია, რომელიც სამხედრო მუქარითაც ხშირად არის გამსჭვალული. ისრაელის გეოპოლიტიკური კოდში შედის ირანის ბითვული კამპანიისათვის ხელის შეშლა, რაც მის არსებობას სასიცოცხლო საფრთხეს უქმნის, თუ გავითვალისწინებთ ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ რადიკალიზმს გახვეულს რელიგიის საბურველში, რომელიც გამსჭვალულია შიიტური მესიანიზმით. ისრაელის გეოპოლიტიკური კოდის ნაწილია არაბული ქვეყნების

დასუსტება, პირველ რიგში მისი მთავარი რეგიონული მტრის ირანის მიერ გამოყენებული ლიბანისა და სიირიის. ისრაელის გეოპოლიტიკურ კოდშია პალესტინის არაღიარება და ისრაელში ებრაული მოსახლეობის ზრდა რეპატრიაციის საშუალებით, რომელიც ერთ-ერთი სტრატეგიუული იარაღია არაბული მოსახლეობის მაღალ შობადობასთან საპირისპიროდ. ისრაელი დღესაც აგრძელებს ახალშენების მშენებლობას სასაზღვრო რაიონებში. თანამედროვე ისრაელი არის ქვეყანა ძლიერი თავდაცვით. დამოუკიდბლობის გამოცხადების შემდეგ, გაათვითცნობიერა რა პატარა ქვეყანამ, თუ რა გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონში უნდა ეარსება, სახელმწიფომ თავდაცვის განვითარებაზე დაიწყო ზრუნვა და დღეს ისრაელი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა თავდაცვის სფეროში. თანამედროვე ისრაელს საუკეთესოდ აღწერს სტატიის სათაური, რომელიც ჟურნალ „ჩემი სამყაროს“ დამაარსებელსა და რედაქტორს ალექსანდრე რონდელს ეკუთვნის „უძლიერესი პატარათა შორის“ ამ სათაურზე აიგო რევაზ გაჩეჩილაძის სტატია ისრაელის შესახებ (გაჩეჩილაძე, 2015 ჟურნალი ჩემი სამყარო გვ.46). მართლაც ისრაელი ყველაზე ძლიერია პატარა სახელმწიფოებს შორის, რომელსაც პრეტენზიაა აქვს იყოს ანგარიშგასაწევი ძალა რეგიონში, რომელსაც გააჩნია რეგიონული გეოპოლიტიკური კოდი და 70 წელია ჰყავს პოლიტიკური პარტნიორი, ნომერ პირველი გლობალური გეოპოლიტიკური კოდის მქონე სახელმწიფო აშშ. პატარა ისრაელი არის მთავარი მეტოქე რეგიონში ისეთი დიდი და ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნის როგორიცაა ირანის ისლამური რესპუბლიკა. ისრაელი იმყოფება გეოპოლიტიკურად ყველაზე რთულ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, სადაც მას, თითქმის რეგიონის ყველა სახელმწიფო ამ რეგიონის არაორგანულ ნაწილად მიიჩნევს და ამ რეგიონში ისრაელს გეოპოლიტიკური მოკავშირე არ ჰყავს, მაგრამ რეგიონში ისრაელი რჩება ყველაზე ძლიერ და გამართულ სახელმწიფოდ. ისრაელის გეოპოლიტიკური კოდის მთავარი ამოცანაა, მისი პრინციპული რეგიონალური მეტოქის ირანის ისლამური რესპუბლიკის დასუსტება და გავლენის შემცირება, რომელიც დღეს სირიის სამოქალაქო ომზეც გადის. მთავარი საზრუნავი კი ირანის მიერ ბირთვული პროგრამაა, ისრაელი საერთაშორისო ასპარეზზე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ირანმა ბირთვული იარაღი არ ჩაიგდოს ხელში. საქმე ხშირად იქამდეც მიდის, რომ ისრაელი, თავის სტრატეგიულ მოკავშირეს აშშ-ს ირანის წინააღმდეგ, არაპირდაპირ, სამხედრო დაპირისპირებისაკენ მოუწოდებს და,

ხშირ შემთხვევაში, ისრაელის სახელმწიფო გადაჭარბებით აფასებს ირანის უარყოფით ზეგავლენას რეგიონსა და მსოფლიოზე, რაც ერთ-ერთი მიზეზია აშშ-ირანის ურთიერთობის დარეგულირების უშანსობის, თუნდაც ინიციატივის დონეზე.

თავი II

სირიის სამოქალაქო ომის ისტორიულ - გეოგრაფიული წანამძღვრები და ისრაელის დამოკიდებულება კონფლიქტის მიმართ, მიზეზები და შედეგები

ქვეთავი I

არაბული გზაფხული და მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთზე, სირიის მაგალითი

არაბული გაზაფხული არის ეთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არაბულ სამყაროში, რევოლუციათა კასკადი არაბულ ქვეყნებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი საუკუნის მეორე დეკადის დასაწყისში. არაბულ გაზაფხულს ჰქონდა თავის პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძვლები. არაბული გაზაფხულის დასაწყისად მიჩნეულია ტუნისის მოვლენები. 2010 წლის 17 დეკემბერს თუნისის პატარა ქალაქში მოვაჭრე ახალგაზრდამ, მუჰამედ ბუაზიზიმ, პროტესტის ნიშნად, თავი დაიწვა ქალაქის მერიის წინ, მას შემდეგ, რაც ქუჩაში მოვაჭრე არაბ ახალგაზრდას სამართალდამცავებმა სასწორი ჩამოართვეს და პირადი შეურაცყოფა მიაყენეს. ღარიბ არაბს არ ჰქონდა იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ კორუმპირებული პოლიცია ქრთამით მოეცილებინა. ვაჭრობის აკრძალვამ არაბ ახალგაზრდას, რომელსც ოჯახი ჰყავდა სარჩენი, მიიყვანა იმ კრიტიკულ გადაწყვეტილებამდე, რასაც საპროტესტო თვითმკვლელობა ჰქვია. მუჰამედ ბუაზიზი, მიუხედავად მკურნალობისა, 2011 წლის 4 იანვარს გარდაიცვალა, რის შემდგომაც ხელისუფლებით უკმაყოფილო და არაბი ახალგაზრდის მიმართ ემპათიით გამსჭვალულ ხალხში დაიწყო საპროტესტო აქციები, რომელიც პატარა ქალაქიდან მთელ თუნისს მოედო შემდეგ კი თითქმის მთელ არაბულ სამყაროს. პოლიციამ სცადა დემონსტრანტების დაშლა, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერმპლა. საპროტესტო მუხტის გამძაფრების შემდეგ თუნისის არმია განუდგა ავტორიტარ პრეზიდენტს ზინე ელ-აბდინ ბენ ალის, რითაც სასოწარკვეთილმა პრეზიდენტმა

ძალაუფლება დათმო და ოჯახთან ერთად საუდის არაბეთში გაიქცა, რომელმაც მას პოლიტიკური თავშესაფარი მისცა (გაჩეჩილაძე, 2011. გვ.357).

საპროტესტო ტალღა გავრცელდა სხვა არაბულ ქვეყნებზებშიც, რასაც ხელი შეუწყო თანამედროვე ეპოქის საიმფორმაციო საშუალებებმა მედიამ, ინტერნეტმა და, რაც მთავარია, არაბული სამყაროს გამაერთიანებელმა სალიტერატურო არაბულმა ენამ, ფურსამ, რომელსაც ყველა მორწმუნე მუსლიმი ფლობს, მორწმუნე მუსლიმები კი აბსოლიტურ უმრავლესობას შეადგენს ამ ქვეყნებში. დიდი როლი ითამაშა ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა არაბულმა ტელე - მედიამ ალჯაზირამ. სულაც არ არის გასაკვირი თუნისის მოვლენების ეპიდემიურობა, რადგან თითქმის ყველა არაბულ სახელმწიფოში ერთი და იგივე პოლიტიკური ფონი იყო. უკვე 2011 წლის იანვარში დაიწყო საპროტესტო მოძრაობები იორდანიაში, ომანში, იემენში, ეგვიპტეში, ბაჰრეინში, მარტში კი სირიაში. საპროტესტო გამოსვლები ნახევარწლიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა ლიბიაში, რომელსაც 1969 წლიდან 41 წლის განმავლობაში მართავდა დიქტატორი მოამარ კადაფი, რომელის ხელისუფლება დასავლური სახელმწიფოების ჩარევით დაემხო. კადაფისა და მისი ოჯახური კლანის მართველობა ლიბიაში დასრულდა. არაბული გაზაფხული გადატრიალებით დასრულდა, ერთ-ერთ მსხვილ არაბულ ქვეყანაში, ეგვიპტეში. 25 იანვარს მასობრივი საპროტესტო გამოსვლების წინააღმდეგ ჰოსნი მუმბარაქის ხელისუფლებამ ცეცხლსასროლო იარაღი გამოიყენა. ასობით ადამიანი დაიღუპა ათასობით კი დაიჭრა, რამაც ვითარება უკიდურესად დაძაბა. აქაც, როგორც თუნისში, გადამწყვეტი აღმოჩნდა სამხედრო ძალების პოზიცია, რომლებმაც უკმაყოფილო დემოსტრანტების წინააღმდეგ წასვლას არჩიეს ხელისუფლებას განდგომოდნენ, რამაც დააჩქარა მუმბარაქის საბოლოო მარცხი და რევოლუცია. ჰოსნი მუმბარაქი 30 წლის განმავლობაში, ერთპიროვნულად მართავდა ეგვიპტეს. ბენ ალი კი 23 წელი იყო თუნისის სათავეში. აღნისნული ხელისუფალნი ბევრ სასარგებლოს აკეთებდნენ ქვეყნისათვის, იყო გარკვეული ეკონომიური ზრდაც და იმფრასტრუქტურაც ეწყობოდა, იგივე შეიძლება ითქვას ლიბიელ დიქტატორზე კადაფზეც რომელიც დასავლური ქვეყნების ჩარევით დაემხო საბოლოოდ ლიბიაში, რის შემდეგაც გაირკვა რომ კადაფის ლიბია არც თუ სუსტი ქვეყანა იყო და მიგრაციულ ტალღებს აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპისაკენ მნიშვნელოვნად ზღუდავდა. მაშ რა იყო აღნიშნული

ქვეყნების მოქალაქეთა პროტესტის მიზეზი? რა თქმა უნდა რკინის ხელი, ცენზურა, კორუფცია და მართველი ელიტის უცვლელობა. რევოლუციების შემდეგ ბევრი ქვეყანა უფრო დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდა და ჯერ კიდევ არ არის ამ ქვეყნებში პოლიტიკური გარემო ოპტიმალური და შეიძლება ითქვას, რომ კადაფის ლიბია ბევრად უფრო ძლიერი იყო ეკონომიურად ვიდრე პოსტრევოლუციული ქვეყანა. დასავლეთის სურვილმა არაბულ ქვეყნებში დემოკრატიის იმპლატანციისა კიდევ ერთი კრახი განიცადა არაბული გაზაფხულის სახით. ცხადია, რომ აღნიშნული ქვეყნები სრულებით არ არიან მზად დასავლური ტიპის ლიბერალური დემოკრატიის შესაქმნელად, ამის ერთ-ერთი მიზეზი კულტურული და რელიგიური განსხვავებაა. ისლამი ჯერ კიდევ ყველაზე ფუნდამენტალურუი რელიგიაა. რაც შეეხება არაბული რევოლუციების გარედან ინსპირირებას, რევაზ გაჩეჩილაძეს საეჭვოდ მიაჩნია, რის მტკიცებულებად არასაკმარისი არგუმენტების არსებობაა „შეთქმულების თეორიის“ მომხრეებისაგან (გაჩეჩილაძე, 2011. გვ.361). მართლაც, არაბული გაზაფხული, საზოგადოების დაბალი ფენებიდან დაიწყო და მისი ბედი ამ უკმაყოფილო საზოგადოების სიმრავლემ გადაწყვიტა. ცხადი ისაა, რომ დასავლეთი, რა თქმა უნდა, ამ რევოლუციებს არ შეხვდებოდა უკმაყოფილებით. დასავლეთი ჩაერია ლიბიის სამოქალაქო ომში, როდესაც სერიოზული საფრთხე დადგა კადაფის ხელისუფლების მიერ საკუთარი მოქალაქეების გენოციდის, რაც ჩრდილოეთ აფრიკის მეზობელ ევროპაზეც ასახვას ჰპოვებდა.

მდიდარმა არაბულმა ქვეყნებმა რომელთაც ჰქონდათ მატერიალური შესაძლებლობა რევოლუციების თავიდან ასაცილებლად, წინმსწრები პრევენციული ზომები მიიღეს და დაიწყეს სოციალური პროგრამების შემუშავება, პენსიების გაზრდა და ხელფასების მომატება. წიაღისეულით მდიდარ არაბულ ქვეყნებში დღესაც მყარად არიან დიქტატორული რეჟიმები და, დიდი ალბათობით, ასე იქნება მანამ, სანამ ნავთობი არ გამოილევა და ხელისუფლებას აღარ ექნება მატერიალურად მოსახლეობის დაკმაყოფილების საშუალება.

არაბულმა გაზაფხულმა ყველაზე დიდი პრობლემები სირიაში შექმნა, აქ საპროტესტო გამოსვლები დიდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რომელიც 7 წელია მძვინვარებს სირიაში. ჰაფეზ ალ-ასადის შემდეგ, შვილის გასაპრეზიდენტებლად, პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა კონსტიტუციაში და შეამცირა პრეზიდენტობისთვის

აუცილებელი ასაკის შეზღუდვა 40-იდან 34-წლამდე, რამაც მისცა ბაშარ ასადს შესაძლებლობა საკუთარი კანდიდატურა დაეყენებინა ბაასის პარტიის მმართველის პოსტზე. 2000 წლის 10 ივნისს, ბაშარ ალ-ასადი არჩეულ იქნა პრეზიდენტად რეფერენდუმით, რომელშიც იგი მონაწილეობდა ოპოზიციის გარეშე და მოაგროვა 97.29% მთლიანი ხმებისა (გელოვანი, 2008. გვ.68).

ბაშარ ალ-ასადის არჩევამ 2000 წლის ზაფხულში გააჩინა იმედები რეფორმებისა და დაერქვა დამასკოს გაზაფხული. პერიოდი ხასიათდება მრავალი პოლიტიკური ფორუმისა გაჩენით, სადაც ერთ აზრზე მყოფი ადამიანები იკრიბებიან კერძო დაწესებულებებში და განიხილავენ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს. სალონების ფენომენი საკმაოდ გავრცელდა დამასკოში და შედარებით მცირედით სხვა ქალაქებშიც. ისეთმა პოლიტიკურმა აქტივისტებმა, როგორებიც არიან: რიად სეიფი, ჰაითჰამ ალ-მალეჰი, კამალ ალ-ლაბვანი, რიიად ალ-თურქი და არეფ დაილა შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი მოძრაობის მობილიზაციაში. ყველაზე ცნობილი ფორუმი იყო რიად სეიფის ფორუმი და ჯამალ ალ-ატასის ფორუმი. პროდემოკრატიული აქტივისტები მობილიზდნენ პოლიტიკური მოთხოვნების გარშემო. ასადმა გასცა ბრძანება გამოეშვათ 600 პოლიტიკური პატიმარი 2000 წლის ნოემბერში. აკრძალულმა მუსლიმთა საძმომ გააგძელა საკუთარი პოლიტიკური აქტივიზმი. 2001 წლის მაისში პაპი ჯონ პაულ II ისტორიული ვიზიტით იმყოფებოდა სირიაში. თუმცა, 2001 წლის შემოდგომისთვის ავტორიტეტები ზეწოლას ახდენდნენ რეფორმის მომხრე მოძრაობაზე, ანგრევდნენ იმედებსა და ამით აგრძელებდნენ ჰაფეზ ალ-ასადის ავტორიტარულ წარსულს. წამყვანი ინტელექტუალების დაკავებები გაგრძელდა და დაბალანსდა შემთხვევითი ამინესტიებით ბოლო დეკადის განმავლობაში. ასე რომ, დამასკოს გაზაფხული გაგრძელდა ძალიან ცოტა ხანს. დაძაბულობა აშშ-სთან გაძლიერდა 2002 წლის შემდეგ, როდესაც აშშ ამტკიცებდა, რომ დამასკო იძენდა მასიური განადგურების იარაღს და ამის გამო სირია შეტანილ იქნა ე.წ. "ეშმაკის კუდის" ქვეყნების სიაში (გელოვანი, 2008. გვ.123). აშშ ძალიან კრიტიკული იყო სირიისადმი, რადგან ეს ქვეყანა მხარს უჭერდა ისლამისტ ჯიჰადისტების მოძრაობას პალესტინასა და ლიბანში ჰეზბოლას, რომელთაც ევროკავშირი, ისრაელი და აშშ ტერორისტულ ჯგუფებს უწოდებდნენ. 2003 წელს აშშ დაემუქრა დამასკოს სანქციებით თუ ის არ შეასრულებდა იმას, რასაც ვაშინგტონი "სწორ

გადაწყვეტილებას" ეძახდა. სირია გმობდა აშშ-ს განცხადებას, თითქოს ის აწარმოებდა ქიმიური იარაღს და ეხმარეობდა ერაყელებს. ისრაელის საჰაერო შეტაკება პალესტინურ სამხედრო ბანაკზე დამასკოსთან ახლოს 2003 წლის ოქტომბერში სირიის მიერ აღწერილ იქნა, როგორც "სამხედრო აგრესია". პრეზიდენტი ასადი ჩავიდა თურქეთში 2004 წლის იანვარში და იყო პირველი სირიელი ლიდერი, რომელმაც ეს გააკეთა. ამ ვიზიტმა ხაზი გაუსვა ათასწლეულების განმავლობაში გაღვივებული ცუდი ურთიერთობების დამთავრებას, მაგრამ ურთიერთობების გაფუჭება გაგრძელდა 2011 წლის შემდეგ. 2004 წლის მაისში აშშ-მ ეკონომიკური სანქციები დაუწესა სირიას. აშშ-სა და სირიის ურთიერთობები კდიევ უფრო დაიძაბა, როდესაც ლიბანში მოკლეს პრემიერ-მინისტრი ჰარირი და შტატებმა დამასკოს გავლენა და ხელი დაინახა ამ მოვლენაში, რაზე საპასუხოდაც სირიამ თქვა, რომ გამოიყვანდა ძალებს ლიბანიდან და ასეც გააკეთა (გაჩეჩილაძე, 2011. გვ.336).

განახლებული ოპოზიციური აქტივიზმი დაიწყო 2005 წლის ოქტომბერში, როდესაც აქტივისტმა მიშელ კილომ, და სხვა ოპოზიციურმა ფიგურებმა შექმნეს დამასკოს დეკლარაცია, რომელიც აკრიტიკებდა სირიის მთავრობას, როგორც ავტორიტარულსსა და ტოტალიტარულს და ითხოვდა დემოკრატიულ რეფორმებს. მიშელ კილოსა და ჯამალ ალ-ლაბვანს მიესაჯათ ციხე დიდი ხნით. ასადის დროს აქტიურად ხდებოდა ინტერნეტის ცენზურის გატარება. ინტერნეტ კაფეები ვალდებულნი იყვნენ ჩაწერათ მომხმარებელთა მოქმედებები ინტერნეტში. დიპლომატიური ურთიერთობები ერაყთან აღდგა 2006 წელს. 2007 წლის მარტში დიალოგი ევროკავშირსა და სირიას შორის განახლდა. შემდეგ თვეში აშშ-ს თეთრი სახლის წარმომადგენელი შეხვდა პრეზიდენტ ასადს დამასკოში, იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტი ბუში იყო წინააღმდეგი. ისრაელის საჰაერო დარტყმა 2007 წლის სექტემბერში იყო დიპლომატიურ ურთიერთობებში უკან გადადგმული ნაბიჯი. 2008 წელს აბათა ლიგის სამიტი ჩატარდა სირიაში და ბევრმა დასავლურმა ქვეყანამ გამოაგზავნა დაბალი წოდების დელეგაციები პროტესტის ნიშნად. დიპლომატიური აღმასვლა გაგრძელდა მაშინ, როდესაც ასადს შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლას სარკოზს პარიზში 2008 წლის ივლისში. შეხვედრა ნიშნავდა დასავლეთის მიერ სირიის დიპლომატიური იზოლაციის დასასრულს, რაც მოჰყვა ჰარირის სიკვდილს 2005 წელს. 2008 წლის ბოლოს სირიამ

უმასპინძლა ოთხმაგ სამიტს სირიას, საფრანგეთს, თურქეთსა და კატარს შორის, იმისთვის რომ გაეძლიერებინათ მშვიდობისკენ მიმართული ძალები ახლო აღმოსავლეთში. 2008 წლის აპრილში, პრეზიდენტმა ასადმა უთხრა გაზეთ "კატარს" რომ სირიასა და ისრალეს ჰქონდათ მოლაპარაკებები მშვიდობასთან დაკავშირებით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო თურქეთი მოქმედებდა, როგორც ამ პროცესის მოდერატორი (Newspaper "Qatar", 2008). ეს დადასტურდა 2008 წლის მაისში ისრაელის პრემიერ-მინისტრის აპარატის წარმომადგენლის მიერ. 2008 წელს აფეთქებებმა მოკლა 17 ადამიანი, რომელიც დაიღუპა დამასკოს საზღვარზე და ეს იყო ერთ-ერთი თავდასხმა ყველაზე დიდი მსხვერპლით სამოქალაქო ომამდე. სახელმწიფომ დაადანაშაულა ისლამისტი მებრძოლები. 2009 წელს შედგა რამდენიმე შეხვედრა უმაღლეს დონეზე სირიასა და აშშ-ს მთავრობის დიპლომატებისა და წარმომადგენლებს შორის. სირიელი მწერალი და პროდემოკრატიული აქტივისტი მიშელ კილო გაანთავისუფლეს ციხიდან, მას შემდეგ რაც მოიხადა სასჯელის 3 წელი. 2010 წელს აშშ-მ გააგზავნა თავისი პირველი ელჩი სირიაში 5 წლიანი შესვენების შემდეგ. ასეთი დაახლოებული, პოზიტიური დიპლომატიური ურთიერთობები მივიდნენ მოულოდნელ დასასრულამდე. 2010 წლის მაისში აშშ-მ განაახლა სანქციები სირიის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ის უჭერდა მხარს ტერორისტულ ჯგუფებს, მუშაობდა მასიური განადგურების იარაღზე, რაც გაეროს რეზოლუციების დარღვევად შეაფასა აშშ-მ. 2011 წელს გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ, სირიის შესახებ, განაცხადა გაეროს უშიშროების საბჭოში საიდუმლო ატომური პროგრამის შესახებ, ამ ფონზე არაბული გაზაფხული სირიაშიც დაიწყო

სირიაში არაბული გაზაფხულის საპროტესტო გამოსვლები შედარებით გვიან 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც წინ უძღოდა პატარა ქალაქში დერაასში მომხდარი ინციდენტი. არასრულწლოვანმა ბავშვებმა სკოლის კედელზე დაწერეს საერთო არაბული რევოლუციური სლოგანი „აშ-შაბ იურიდ ისკატ ან-ნიზამ“ (გაჩეჩილაძე, 2011. გვ.357), რომელიც მედიის საშუალებით მოედო მთელ არაბულ სამყაროს. პოლიციამ ბავშვები დააკავა და ფიზიკურად გაუსწორდა, რამაც მშობლებისა და ნათესავების პროტესტი გამოიწვია. სახელისუფლებო ძალებთან შეტაკებას მოჰყვა მსხვერმპლი, რომელმაც საპროტესტო ტალღა უფრო მასშტაბური გახადა. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით,

სირიაში განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა. ყველაფერი 2011 წლის მარტში დაიწყო, როდესაც სირიის ქალაქ დერაასში, რამდენიმე თინეიჯერის დაპატიმრებისა და წამების შემდეგ, პრო-დემოკრატიული პროტესტი გაღვივდა. მათ სკოლის კედლებზე ანტისახელისუფლო, რევოლუციური ლოზუნგები დაწერეს, რის შემდეგაც დაკავებულებს ციხეში სასტიკად სცემეს, პასუხად კი ადგილობრივებმა სამთავრობო დაწესებულებების დარბევა დაიწყეს. სამთავრობო ძალებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, შედეგად კი ათობით ადამიანი დაიღუპა. ამ არეულობამ ქვეყანაში ოპოზიციის საყოველთაო პროტესტი გამოიწვია, რომლის მთავარი მოთხოვნაც პრეზიდენტ ასადის გადადგომა იყო. 2011 წლის ივლისისთვის, სირიის სამთავრობო არმიიდან გამოყოფილმა სამხედროებმა სირიის თავისუფალი არმია ჩამოაყალიბეს. მეამბოხეთა დაჯგუფებამ, ოპოზიციასთან ერთად, მთავრობის გადაყენება განიზრახა, რის შემდეგაც სირიის კრიზისი სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ასიათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ქვეყანა სრულმასშტაბიან სამოქალაქო ომის რეჟიმში მაშინ გადავიდა, როდესაც მეამბოხე სამხედროებთან გაერთაინებულმა ოპოზიციამ ანტისამთავრობო ბრძოლა წამოიწყეს ქალაქების, სოფლებისა და ქალაქგარე ტერიტორიებისთვის. ამბოხებამ დედაქალაქ დამასკოდან, სიდიდით მეორე ქალაქ, ალეპოში 2012 წელს ჩააღწია. გაეროს 2013 წლის ივნისის მონაცემებით, კონფლიქტს 90 ათასი ადამიანი შეეწირა, 2015 წლის აგვისტოში კი, ეს რიცხვი 250 ათასამდე გაიზარდა. 2016 წელს კი, დაღუპულთა რაოდენობამ 400 ათასს მიაღწია. 2016 წლის დეკემბრისთვის, მსხვერპლის ზუსტი ოდენობა არავინ არ იცის, თუმცა, დიდი ალბათობით, ის 400 ათასზე ბევრად მეტია (BBC. 2016). "თავისუფლების ნაკლებობა და ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სტრესი ის მიზეზებია, რამაც მოსახლეობის საყოველთაო ბრაზი გამოიწვია სირიის მთავრობის მიმართ. ტუნისისა და ეგვიპტის წარმატებულმა აჯანყებებმა სირიულ პრო-დემოკრატიულ აქტივისტებს იმედი ჩაუსახა. გარდა ამისა, ბევრი ისლამისტური დაჯგუფება იყო ოპოზიციურად განწყობილი ასადის მთავრობის მიმართ", - წერს ყველაზე მსხვილი არაბული მედია ალჯაზირა (Aljazeera, 2012). სირიის კონფლიქტს ეთნიკური მრავალფეროვნებაც ართულებს. ასადის მხარე და ქვეყნის სამხედრო ელიტა ალავიტების შიიტურ რელიგიურ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც, თავის მხრივ, უმცირესობას წარმოადგენს სუნიტურ ქვეყანაში. სუნიტი მუსლიმები, რომლებიც

ოპოზიციის დასაყრდენს წარმოადგენენ, მოსახლეობის 75 პროცენტს შეადგენენ. რა თქმა უნდა, 2011 წლის მარტში არ არის სირიის კონფლიქტის თავდაპირველი სათავე. ამ დროს ქვეყანაში დაგროვილმა პრობლემებმა ერთბაშად ამოხეთქა. სანამ ეს მოხდებოდა, ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე, ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფები ძლიერდებოდნენ, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ფრაგმენტულად თავს იჩენდა დაპირისპირების პირველი ნიშნები, 2011 წელს ეს ყველაფერი ფართომასშტაბიან, მრავალმხრივ კონფლიქტში გადაიზარდა, სადაც სულ უფრო რთული ხდება მტყუან-მართლის გარჩევა. ამჟამად სირიაში არსებული მდგომარეობა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ბრძოლა ასადსა და ამბოხებულებს შორის. კონფლიქტმა კონტექსტი შეიცვალა და ქვეყნის სუნიტი უმრავლესობა პრეზიდენტ ასადის შიიტურ-ალავიტური ჯგუფის წინააღმდეგ განაწყო. მთლიანობაში, ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტში რამდენიმე სუბიექტია ჩართული:

ქურთები - 2011 წლის გაზაფხულზე, როდესაც სირიის ოპოზიციის საპროტესტო აქციები ამბოხებაში გადაიზარდა, საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობდნენ ქურთებიც, რომლებიც იმ დროისათვის, სირიის მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენდნენ. 2011 წლის ოქტომბერში ნიღბიანმა პირმა მოკლა ქურთების ლიდერი, მაშაალ ტამო. ქურთებმა აღნიშნული ხელისუფლების ჩადენილად მიიჩნიეს. ტამოს დაკრძალვისას, რომელიც მასშტაბურ აქციაში გადაიზარდა, ასადის არმიამ, ცეცხლი გახსნა, დაიღუპა 5 ადამიანი. ამის შემდეგ, ქურთებმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს ხელისუფლებას. ქურთებით დასახლებული რეგიონები გაერთიანდნენ და დაიწყეს საკუთარი თავის რეჟიმისგან დაცვა. ქურთების დაუმორჩილებლობას წინ უძღოდა მათი მრავალწლიანი შევიწროება და ჩაგვრა სირიის ხელისუფლების მიერ.

სირიის ოპოზიცია და ამბოხებულები - სირიის ოპოზიციასა და ამბოხებულ სამხედროებს, რომლებიც გამოეყვნენ სირიის არმიას და ჩამოაყალიბეს თავისუფალი სირიის არმია, მხარს თავიდანვე უჭერდნენ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სახელმწიფოები, რამდენადაც მათთვის მიუღებელი იყო და არის ასადის ხელისუფლება. თავისუფალი სირიის არმიას ფინანსურად და სამხედრო ძალით ეხმარებოდნენ სპარსეთის ყურის მდიდარი არაბული ქვეყნები, რომელნიც დღესაც წინააღმდეგნი არიან ასადის ხელისუფლების, რამდენადაც ასადის მხარდამჭერია, მათი

მთავარი პოლიტიკური მეტოქე სპარსეთის ყურის რეგიონში, ირანის ისლამური რესპუბლიკა. სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნებისა და ირანის დაპირისპირება იმ მდგომარეობაშია, რომ აღნისნული რეგიონის ქვეყნები უპრობლემოდ დაუჭერენ მხარს ისრაელის სახელმწიფოს ირანის წინააღმდეგ, მიუხედავად ისრაელ-არაბთა „გენეტიკური“ უთანხმოებისა.

თურქეთი - სირიელ ამბოხებულებს მხარს უჭერს თურქეთიც. 2016 წელს თურქეთის არმია პირველად ჩაერთო ცოცხალი ძალით სირიის კონფლიქტში. მათ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებისგან გაათავისუფლეს თურქეთის მიმდებარე რეგიონები და შექმნეს ერთგვარი ბუფერული ზონა. გარდა ამისა, თურქები სირიის ტერიტორიაზე ებრძვიან ქურთებსაც. უკვე ათწლეულებია, თურქეთის ხელისუფლებას პრობლემები აქვს თურქეთში მცხოვრებ ქურთებთან. ერდოღანის ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ ის არ დაუშვებს სირიის ტერიტორიაზე, თურქეთთან ახლოს, ახალი ქურთული სახელმწიფოს შექმნას. ერდოღანის ხელისუფლება შიშობს, რომ თუ ეს მოხდა, აღნიშნული ფაქტი წაახალისებს თურქეთში მცხოვრებ სეპარატისტულად განწყობილ ქურთებს. პარადოქსულია, მაგრამ სირიის ქურთები და თურქეთი ერთ მხარეზე აღმოჩნდნენ ასადის წინააღმდეგ, მაგრამ თურქეთმა ბოლო დროს კომფლიქტისადმი ლავირებადი პოლიტიკა აირჩია, რაც, ჩემი აზრით, სავსებით პრაგმატული ნაბიჯია, თუნდაც, კომფლიქტის მთავარ „არბიტრთან“, რუსეთის ფედერაციასთან ბოლო დროის ურთიერთობა

ჯიჰადისტები და- **ISIS/ISI** - მას შემდეგ, რაც სირიაში კონფლიქტის ესკალაცია დაიწყო, ჯიჰადისტებმა მთელი მსოფლიოდან დაიწყეს სირიაში ჩასვლა და ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ტერორისტულმა ორგანიზაცია ალ-ქაიდამ სირიაში თავისი ე.წ. ფილიალი, ასევე ტერორისტული ორგანიზაცია, ალ-ნუსრა ჩამოაყალიბა. 2012 წელს, ჯიჰადისტებს შორის შიდა დაპირისპირება მოხდა, რის გამოც მათი ნაწილი გამოეყო ალ ნუსრას და საქმიანობა განაგრძო ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს სახელით. 2013 წელს ისლამურმა სახელმწიფომ სირიის ტერიტორიის დაპყრობა დაიწყო და მას დაარქვა ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო. მომდევნო წელს იგი თავს დაესხა ჩრდილოეთ და დასავლეთ ერაყს, სადაც ხალიფატი გამოაცხადა. ალ-ქაიდასგან განსხვავებით, ისლამურმა სახელმწიფომ გაცილებით სერიოზული მიზნები

დაისახა. მათმა ლიდერმა, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ, მსოფლიოში მთავარი სუნიტური სახელმწიფოს შექმნა განიზრახა, სადაც შარიათის ყველაზე რადიკალური კანონები იმოქმედებდა და ადამიანებს სიკვდილით ყველაზე მსუბუქი დანაშაულისა და მკრეხელობისთვისაც დასჯიდნენ. აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია ადამიანთა წამებისთვის ყველაზე სასტიკ მეთოდებს იყენებს, წამების კადრებს ვიდეოზე აღბეჭდავს და ცდილობს, მაქსიმალურად დაზაფროს მსოფლიოს მშვიდობიანი მოსახლეობა.

ბაშარ ალ ასადი - სირიის მოქმედი პრეზიდენტი, ბაშარ ალ ასადი, მთელ თავის რესურსს ამბოხებულებთან ბრძოლაში ხარჯავს. ამბოხებულებთან ბრძოლაში ასადს ეხმარებიან ირანი, რუსეთი და ჰეზბოლას დაჯგუფება. ასადს არაერთხელ დასდო ბრალი დასავლეთმა, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებაში. გარდა ამისა, რუსეთის ავიაციის დახმარებით განუწყვეტლივ ბომბავს ამბოხებულთა ტერიტორიებს, რის გამოც, ყოველდღიურად ასობით ადამიანი იღუპება.

საერთაშორისო მოთამაშეები - სირიის სამოქალაქო ომში დიდი როლი ითამაშა უცხოური ძალების მხარდაჭერამ და ინტერვენციამ. 2015 წლამდე, დასავლეთის სახელმწიფოები ომში ღიად ჩართვას თავიდან ირიდებდნენ, რუსეთმა და ირანმა კი ასადის რეჟიმის მხარდაჭერა განაგრძეს. საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად, რუსეთმა ასადი ფულით, სამხედრო აღჭურვილობითა და მრჩევლებით მოამარაგა. 2015 წლის 30 სექტემბერს, რუსეთმა საჰაერო თავდასხმები დაიწყო, როგორც თავად უწოდებს "ტერორისტულ დაჯგუფებებზე" სირიაში, მათ შორის, ისლამურ სახელმწიფოსა და დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ მეამბოხე დაჯგუფებებზე, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები მეამბოხეებს, ოპოზიციურ გაერთიანებას ეხმარება. აშშ ასადს ფართომასშტაბიან სისხლისღვრაში სდებდა ბრალს და გადადგომისკენ მოუწოდებდა. სირიელმა ქურთებმა ერაყსა და თურქეთში მცხოვრები ქურთებისა და ქურთული დიასპორისგან მიიღეს მხარდაჭერა. რაც შეეხება სირიის მეზობელ თურქეთს, ის ასადის მოწინააღმდეგე ოპოზიციური ძალების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია, ისევე როგორც საუდის არაბეთი და ყატარი. თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადებით, სირიელები ვერ მიიღებენ ისეთ დიქტატორს, რომელიც 350 ათასი ადამიანის სიკვდილზეა პასუხისმგებელი. 2015 წლის ივლისში, ჯიჰადისტების შეტევის შემდეგ, თურქეთი აშშ-ის მიერ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ

შექმნილ კოალიციას შეუერთდა, რათა საკუთარი საჰაერო ბაზების გამოყენების საშუალება მიეცა დასავლური ძალებისთვის. 2016 წლის აგვისტოში, თურქეთმა ტანკები, სამხედრო თვითმფრინავები და სპეციალური დანიშნულების ძალები ჩრდილოეთ სირიაში გაგზავნა, რათა თურქეთის მოსაზღვრე რეგიონები ტერორისტებისგან გაეთავისუფლებინა. ისინი სამხედრო ოპერაციას ატარებენ ქურთების წინააღმდეგაც.

სირიის კონფლიქტი რუკაზე



წყარო: IHS Conflict Monitor (19 ოქტ. 2016)

რუკა ასახავს 2016 წლის 19 ოქტომბრის მონაცემებით, სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე კონტროლის გადანაწილებას.

ბაშარ ალ-ასადი არის რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი, სირიელი ალავიტი და თითქმის ყველა მის გარშემო ხელისუფლების წარმომადგენელი, გენერლები და პოლკოვნიკები იყვნენ ასევე ალავიტები, რამაც გამოიწვია, ერთთავად,

რევოლუციის წარუმატებლობა, რადგან, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ასადს სამხედრო და ძალოვანი სტრუქტურები ვერ უღალატებდნენ. სირიის ოპოზიციაში დაუყონებლივ გამოჩნდნენ ისლამისტური ძალები, „მუსლიმი ძმების“ სახით. აღსანიშნავია, რომ სირიის, თითქმის, 75 % სუნიტია, ხოლო 13% შიიტი ალავიტი, რომელთა ხელშიდაც არის ხელისუფლება. ვითარებას ამძაფრებს ის, რომ სირია არის გეოპოლიტიკურად ისეთ ადგილზე, სადაც იკვეთება ბევრი სახელმწიფოს ინტერესი. ამასთანავე სირია არის სპარსეთის ყურის ენერგო რესურსების სატრანზიტო ქვეყანა, ერთ-ერთ მთავარ მომხმარებელისაკენ, ევროპისაკენ, რაც შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის მიერ აქ სამხედრო ძალის შეყვანისა 2015 წელს, რათა რუსეთის ენერგო „დიქტატს“ ევროპაში არ დაემუქროს საფრთხე. გასათვალისწინებელია ისიც რომ, რუსეთის მიერ სირიაში სამხედრო ძალის შეყვანას წინ უძღოდა უკრაინის მოვლენები და რუსეთის მიერ ყირიმის ნ/კ მიერთება, რის შედეგადაც რუსეთის ფედერაციამ საკუთარი ძალის ირწმუნა და უკრაინის მოვლენების სიმწვავის დასაკარგად შევიდა სირიაში, სადაც მისი მოკავშირის ასადის ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობს. ამით რუსეთს, თითქოს, სურდა ეჩვენებინა საკუთარი ძალა, როგორც ერთ-ერთი გლობალურ გეოპოლიტიკური მოთამაშის. სირიაში თავის ინტერესები აქვს ირანს, რომელიც, რა თქმა უნდა, შიიტ-ალავიტ ასადის ხელისუფლებას უჭერს მხარს, თურქეთი უმრავლესობაში მყოფ სუნიტებისაკენ იმხრობა დასავლეთი კი ასადის მიმართ ანტიპათიითაა განწყობილი. მდიდარი სპარსეთის ყურის ქვეყნების უმრავლესობა ასადის წინააღმდეგაა, რადგან ისინი არიან სუნიტები და ასევე მთავარი შიიტური ქვეყნის ირანის ისლამური რესპუბლიკის გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები, რომელიც ღიად უჭერს მხარს ასადის ხელისუფლებას და აფინანსებს შიიტურ ტერორისტულ ორგანიზაცია ჰესბოლას. 2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის მიერ რუსეთის ავია გამანადგურებელის ჩამოგდებამ მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა რუსეთსა და თურქეთს შორის და, შესაბამისად, მსოფლიოში, მაგრამ ერდოღანის ინიციატივით დაძაბულობა რუსეთ-თურქეთს შორის განიმუხტა. სიტუაცია უღრესად გამწვავდა 2018 წლის აპრილში, როდესაც აშშ-მ, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ერთობლივი სარაკეტო დარტყმები მიიტანა ქიმიური იარაღის სავარაუდო სათავსოებზე, რომელმაც დაპირისპირება რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთს შორის უკიდურესად დაძაბა,

რამაც სოლსბერის ინციდენტის შემდეგ არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. თითქმის ყველა მედია საშუალებით საუბარი იყო მესამე მსოფლიო ომის შესაძლო პროვოცირებაზე. ბიბისისთან ინტერვიუში რუსმა პოლიტოლოგმა მარკოვმა განაცხადა, „მესამე მსოფლიო ომი დაიწყება მაშინ, როდესაც დასავლეთის სარაკეტო დარტყმებს ერთი რუსი ჯარისკაცი მაინც ემსხვერმპლება“ (BBC, 2018). რაც შეეხება ისრაელს, იერუსალიმ პოსთთან საუბარში ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, სირიაში დასავლეთის სარაკეტო დარტყმების შედეგად „ისრაელის არსებული მდგომარეობა არ შეცვლილა“(The Jerusalem post. 2018). საბოლოოდ სირიის კონფლიქტი აღმოჩნდა ომი ყველა ყველას წინააღმდეგ, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ახლაც ეწირება, მილიონობით კი ლტოლვილად იქცა საკუთარ ქვეყანიდან და უამრავი ახლაც გადის ქვეყნიდან თაშესაფრის ძიების იმედად. რუსეთის უშუალოდ ჩარევამ სამოქალაქო ომში ასადის წასვლა შეუძლებელი გახადა და დამყარდა წონასწორული კონფლიქტური სიტუაცია, რომელის დასრულებას ბოლო არ უჩანს. სირის კონფლიქტს აკვირდება ყველა გლობალური თუ რეგიონალური გეოპოლიტიკური მოთამაშე, მათ შორის ისრაელიც, რომლისთვისაც სირიის სამოქალაქო ომი დიდი ხანია იქცა თავსატეხად. სირიის სამოქალაქო ომი არის ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი კონფლიქტი, რომლის დასრულებას ბოლო არ უჩანს და ვერავინ იწინასწარმეტყველებს თუ როდის და როგორ დასრულდება ეს კონფლიქტი, ოდესმე თუ ბოლო მოეღო XXI საუკუნის მსოფლიოს ყველაზე დიდ თავსატეხს.

ქვეთავი II

ისრაელის გეოპოლიტიკური ინტერესი სირიის სამოქალაქო ომში

სირიაში 2011 წელს, სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, ისრაელი თავისი ერთ-ერთი პრობლემური მეზობლის საქმეებში არ ჩაერია და ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, მაგრამ, ცხადია, ისრაელი აღნიშნული მოვლენების მიმართ გულგრილი ვერ იქნებოდა

და ამას ფაქტებიც ადასტურებს, როდესაც ისრაელს იერიში მიჰქონდა სირიის ტერიტორიაზე და ამას ჰესბოლას, ისრაელის დაუძინებელი მტრის, შიიტური ტერორისტული ორგანიზაციის, წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად აფასებდა. ისრაელს ჰქონდა საუკეთესო მიზეზი ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ქმედების, რაშიც მას დასავლელი პარტნიორები ვერ გაკიცხავდნენ, მათ ასადის რეჟიმის მიუღებლობის იდეა აერთიანებთ. ისრაელი ასადის რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგეთაგანია, ასევე ისრაელისათვის მისაღებია სტაბილური ქაოსიც სირიაში და სირიის, როგორც არშემდგარი სახელმწიფოს არსებობა, რაც შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. რა განაპირობებს ისრაელის გეოპოლიტიკურ ინტერესებს სირიის სამოქალაქო ომიში? პირველი ეს არის სირიასთან ტერიტორიული დავა. ისრაელმა 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ მოახდინა გოლანის მაღლობების ოკუპაცია, რომელიც მანამდე სირიის შემადგენლობაში იყო. ამ პერიოდიდან სირიასა და ისრაელს შორის კიდევ უფრო გართულდა ურთიერთობა და ასადების მართველობის პერიოდში სირიის ერთ-ერთი საზრუნავი იყო გოლანის მაღლობების დაბრუნება, თემა განსაკუთრებით წინ წამოიწია 2000-იან წლებში, ბაშარ ალ-ასადის გაპრეზიდენტების პირველ წლებში. სამოქალაქო ომომა სირიაში, ისრაელს საზრუნავი მოუხსნა სირიასთან შესაძლო სამხედრო დაპირისპირების, თავის მხრივ, ისრაელისათვის გოლანის მაღლობებს აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. გოლანის მაღლობებიდან ისრაელს უადვილდება თავდაცვა და ასევე სამხედრო იერიშის ეფექტური მიტანა მის ორ მნიშვნელოვან ისტორიულ მტერზე, სირიასა და ლიბანზე და, შესაბამისად, ამ გეოგრაფიულ არეალში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაცია ჰესბოლაზე. გოლანის მაღლობი არის მტკნარი წყლის დიდი „საბადო“ რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია უდაბური ისრაელისათვის. ამიტომ გაუჭირდა ისრაელს ამ ტერიტორიის დათმობა ექვს დღიანი ომის შემდეგ, განსხვავებით სინაის ნ/კ-ისა, რომელიც ისრაელმა სადათ-ბეგინის შეთანხმების შემდეგ გაათავისუფლა და დაუთმო ეგვიპტეს. ისრაელის დამოკიდებულებას სირიის კონფლიქტისადმი განსაზღვრავს, ის რომ ასადი და ძირითადი მმართველი ელიტა სირიისა არის შიიტი ალავიტი, ხოლო ისრაელის მთავარი მოწინააღმდეგე ტერორისტული ორგანიზაცია ჰესბოლა არის შიიტური, რომლის უკანაც დგას ისრაელის პრინციპული პოლიტიკური მეტოქე ირანის ისლამური რესპუბლიკა. ერთი მიზეზიც კი

საკმარისია ისრაელი იყოს მოწინააღმდეგე ასადის რეჟიმისა, რომელიც განისაზღვრება ირანის ღია მხარდაჭერით ასადის ხელისუფლების მიმართ. ირანისათვის უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს უმცირესობის რელიგიური ჯგუფის, ალავიტების ხელისუფლებაში დარჩენა ასადის რეჟიმის სახით, რაც ირანის გავლენას რეგიონზე ზრდის და ახანგრძლივებს. ასადის ალავიტური ხელისუფლების წასვლის შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ სუნიტი უმრავლესობა მოვიდა სირიის ხელისუფლებაში, მკვეთრად შემცირდება ირანის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, რასაც სპარსეთის ყურის სუნიტური ქვეყნებიც მიესალმებიან. რაც შეეხება ისრაელს, იგი ყველა გზით ცდილობს ირანის გავლენის შესუსტებას რეგიონზე, მათ შორის სირიის ხარჯზეც, რომელიც ტერიტორიული ბუფერია ირან-ისრაელს შორის, მით უმეტეს, როდესაც ირანის ისლამური რესპუბლიკის სათავეშია თეოკრატიული ხელისუფლება გამსჭვალული შიიტური მესიანიზმით, რომელსაც აქვს პრეტენზია შექმნას ბირთვული იარაღი. ისრაელელი მკვლევარები მიიჩნევენ რომ ირანის სახელმწიფოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულებით შესაძლებელია, რომ ბირთვული იარაღის შექმნის შემთხვევაში ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ ის გამოიყენოს და გამოიყენოს ისრაელის წინააღმდეგ, პირველ რიგში (Rabinovich, 2012. Fridman, 2017.).

სირიის სამოქალაქო ომის დასაწყისში, როგორც აღინიშნა, ისრაელმა კონფლიკტის მიმართ თავისი ნეტრალური პოზიციის შესახებ განაცხადა, მაგრამ დროგამოშვებით მას საჰაერო დარტყმები მიჰქონდა სირიის ტერიტორიაზე, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ჰესბოლას არსებობით ხსნიდა, მაგრამ 2018 წელს ცხადი გახდა, რომ ისრაელის ნეიტრალური პოზიცია სირიის კონფლიქტის მიმართ მხოლოდ სიტყვები იყო და ისრაელი ვერცეთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა გულგრილი სირიის კონფლიქტის მიმართ, განსაკუთრებით, ეს გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ასტანის მოლაპარაკებამ ისრაელისათვის არასასურველი შედეგი დააყენა. ფაქტიურად, ასტანის მოლაპარაკებით სირიაში მთავარი მოთამაშეები გახდნენ რუსეთის ფედერაცია და ისრაელის პრინციპული პოლიტიკური მტერი ირანის ისლამური რესპუბლიკა. ირანმა აქტიურად დაიწყო პოზიციების დაკავება სირიაში და ამით თითქმის გაუმეზობლდა მის უპირველეს მტერს რეგიონში ისრაელს, რაც ისრაელის სახელმწიფოსათვის დიდი საფრთხეა. ირანული სამხედრო ძალები გაუმეზობლდა ასევე, მის მიერ დაფინანსებულ ჰესბოლას, რომელიც ლიბანში მოქმედებს

და ლიბანის წლევანდელ არჩევნებზე პარტია ჰესბოლამ დიდ წარმატებას მიაღწია. სირიის ტერიტორია შეიძლება აღმოჩნდეს ერთგვარი კომფორტული ხიდი ირანსა და ჰესბოლას შორის. ამას ემატება ჰამასისა და პალესტინელთა ბოლოდროინდელი სიმპათიები ირანის მიმართ. ეს ყველაფერი კი ისრაელის წინააღმდეგ დიდი ძალების მობილიზაციას უწყობს ხელს: ირანი, ჰესბოლა სირიის არმია და ჰამასი, რომელნიც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს პატარა ისრაელისთვის, რომელსაც თავდაცვის ძალზედ პატარა არეალი გააჩნია. ამიტომაა, რომ ისრაელის პოზიცია სირიის სამოქალაქო ომის მიმართ საბოლოოდ გამოოაშკარავდა. პირველი ღია ებრაულ-ირანული ინციდენტი 10 თებერვალს დაფიქსირდა, როდესაც ირანული დრონი ისრაელის საჰაერო სივრცში შევიდა. ისრაელის საჰაერო თავდაცვის სისტემებმა ის ჩამოაგდს, შემდგომში ისრაელი ამტკიცებდა, რომ დრონი შეიარაღებული იყო. საპასუხოდ, სირიის სამთავრობო ძალებმა F-16 ჩამოუგდეს ისრაელის საჰაერო ძალებს, ამის შემდეგ ორივე მხრიდან სიტყვების ომი წავიდა. პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს მუჰამედ ჯავად ზაფირს აფეთქებული დრონის ნაწილი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე უჩვენა და დაემუქრა, რომ არც სხვა საბრძოლო საშუალებებს დაადგებოდათ უკეთესი დღე (BBC, 2018). ამავე პერიოდში ისრაელს დაეძაბა ურთიერთობები ლიბანთანაც, რომლის სასაზღვრო ზოლშიც წამოიწყო კედლის მშენებლობა, რასაც ოფიციალური ბეირუთი მკაცრად ეწინააღმდეგება. ლიბანს დაგეგმილი აქვს სადავო წყლებში, კედელთან ახლოს, ენერგორესურსების საძიებო სამუშაოების ჩატარება. ლიბანელი სამხედრო მაღალჩინოსნები ღიად აფიქსირებდნენ, რომ ლიბანის არმია სრულ მზადყოფნაშია დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და ინტერესები, ნებისმიერ ფასად. ლიბანში, საარჩევნო სისტემის შეცვლის შემდეგ, რასაც მოჰყვა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ საგაზაფხულო არჩევნებში, „ჰეზბოლასთან“ ასოცირებული ძალები დიდ გამარჯვებას მიაღწევდნენ და ასეც მოხდა. მარტში სიტუაცია მეტ-ნაკლებად დაბალანსდა, თუმცა არ განმუხტულა. 8 აპრილს ისრაელის ავიაციამ იერიში მიიტანა დრონების ირანულ T4 სამხედრო ბაზაზე სირიაში, რასაც მოჰყვა ინფრასტრუქტურის განადგურება და 7 ირანელი სამხედროს სიკვდილი, მათ შორის, ერთ-ერთი პოლკოვნიკის ჩინის, რომელიც სავარაუდოდ დრონების პროგრამას ხელმძღვანელობდა სირიაში (BBC, 2018),

აღნიშნული ბაზიდან გაუშვა ირანმა უპილოტო თვითმფრინავი ისრაელის მიმართულებით თებერვალში. ისრაელის მხრიდან უშუალოდ ირანის ბაზაზე იერიშსს პირველად რუსეთმა უპასუხა მკაცრი კრიტიკით, შემდე კი, ირანის პოლიტიკური, სასულიერო თუ სამხედრო ელიტის ყველა გამოჩენილმა ოფიციალურმა პირმა გააფრთხილა ისრაელი, რომ ამ ფაქტს უპასუხოდ არ დატოვებდნენ. განცხადებები ამის შესახებ ყოველ დღე კეთდება, მათ შორის, განცხადებათა სიუხვით გამოირჩევა ჰეზბოლა, რომელმაც ისრაელის ამ ნაბიჯს ისტორიული შეცდომა უწოდა და ირანთან პირდაპირ კონფრონტაციას გაუსვა ხაზი. 17 აპრილს ისრაელის უშიშროების სამსახურებმა ახალი ფოტოები გაავრცელეს, სადაც, მათი თქმით, ირანული სამხედრო და სამოქალაქო ავიაციაა კონცენტრირებულია საბრძოლო მასალების გადასატანად და მიმდინარეობს ისრაელზე იერიშისთვის მზადება. 10 მაისს კიდევ ერთი საჰაერო იერიში მიიტანა ისრაელმა ირანის სამხედრო ბლოგპსსტზე, რომელიც ისრაელის მიერ კონტროლირებადი გოლანის მაღლობებიდან სულ რაღაც 60 კილომეტრით არის დაშორებული. არც თუ ისე უმნიშვნელოა ისრაელის როლი, აშშ-ს მიერ ირანთან 2015 წელს დაწყებული ბირთვული შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების ფორმატის დატოვებაში, რომელშიდაც შედიოდა ირანი, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ბრიტანეთი, რუსეთი და ჩინეთი. აშშ მოითხოვს ახალი სანქციების დაწესებას ირანისათვის ბალისტიკური რაკეტების წარმოებისათვის, რასაც შეთანხმების სხვა ქვეყნები არ ეთანხმებიან. ამ ყველაფერმა უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა აშშ-სა და ირანს შორის და შესაბამისად ირან-ისრაელს შორის. ისრაელს გამოკვეთილი პოზიცია აქვს რუსეთის მიერ სირიისათვის სარაკეტო სისტემების გადაცემის შესახებ. ისრაელისს თავდაცვის მინისტრმა ლიბერმანმა განაცხადა, რომ თუ აღნიშნული რაკეტები ისრაელის უსაფრთხოებას შეუქმნის პრობლემას მას ისრაელი გაანადგურებს (Alioni.Info, 2018). ამავე წელს ქნესეთმა მიიღო გადაწყვეტილება ომის დაწყების პრეროგატივის შესახე. გადაწყვეტილების თანახმად, პრემიერსა და თავდაცვის მინისტრს ეძლევა საშუალება საკანონომდებლო ორგანოს გვერდის ავლით გასცეს საომარი მოქმედებების შესახებ ბრძანება (The Jerusalem post, 2018), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისრაელი ყოველი მომენტისათვის მზადაა საომარი მოქმედებებისათვის და წერტილოვანი დარტყმებს ალბათ კიდევ ექნება ადგილი. რაც შეეხება ირან-ისრაელს შორის სრულ მაშტაბიან

საომარ მოქმედებებს რთული პროგნოზირებადია, რადგან ირანს ჯერჯერობით არ ძალუძს ისრაელთან სამხედრო დაპირისპირება. ამას ემატება შიდა უკმაყოფილება ირანში ხელისუფლების მიმართ რაც გამოიხატა უახლოეს წარსულში აქციებით. ხშირია ლოზუნგები ირანში იმის შესახებ თუ რატომ ხარჯავს მატერიალურ რესურსს ირანი სირიაში. თავის მხრივ, ისრაელში კორუფციულ სკანდალში აღმოჩნდა პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ, ხოლო პრტია ლიკუდს აქვს კოალიციის შენარჩუნების პრობლემები, მაგრამ ისრაელელი პოლიტოლოგი ალექსანდრე ეტერმანი ერთ-ერთ ინტერვიუში განმარტავს: „ჩვენთან არსებობს გასაოცარი ერთიანობა მთავრობას, ძალოვან სტრუქტურებსა და ხალხს შორის, ამ საკითხებთან დაკავშირებით. ძალზე მაღალია პატრიოტიზმის დონე, თავაწყვეტილობამდეც კი... უხეშად რომ ვთქვათ, როდესაც ქვეყნის მმართველები ხალხს ეუბნებიან, რომ „ყველაფერი ძალზე ცუდად არის და ემზადეთ ომისთვის“, ეს ძალზე სჯერათ“, (politforumi.com, 2013) მართლაც ასეთი ემოციური ფონი ისრაელის მოქალაქეებში, ერთ-ერთი მთავარი კოზირია ისრაელისათვის, რომელიც, მუდმივ საომარ მდგომარეობაში მყოფი, პატარა ქვეყნის ისტორიის შედეგია. ისრაელში შეიძლება მოქალაქეებმა აკრიტიკონ ხელისუფლება ეკონომიკური მდგომარეობის გამო კორუფციის ან სხვა შიდა პოლიტიკის გამო, მაგრამ საგარეო პოლიტიკაში ერიცა და მთავრობაც შეკრული და ერთსულოვანია.

როგორც ამ თავში აღინიშნა ისრაელის სურვილია ალავიტი ასადის რეჟიმის დამხობა სირიაში, ქვეყანაში რომელთანაც აქვს ტერიტორიული დავა და ქვეყანა რომლის ხელისუფლებაც მოკავშირეა შიიტური ირანის რესპუბლიკისა და ხიდს წარმოადგენს ჰესბოლასა და ირანს შორის, რაც ისრაელს დიდ საფრთხეს უქმნის, მაგრამ, ამავე დროს ისრაელისათვის ურიგო არ იქნება სირიაში პოლიტიკური ქაოსი, ისრაელელი პროფესორი და ექსპერტი ინბარი შენიშნავს: „ისრაელმა სირიის კონფლიქტში (გარეგნულად) ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს, მაგრამ ამავე დროს უნდა ისურვოს და ხელი შეუწყოს სირიის „არშემდგარ სახელმწიფოდ“ გადაქცევას, ასადის დასუსტებისა და სულაც მისი დამხობის გზით“ (politforumi.com, 2013). ამ მოსაზრებას განაპირობებს ირანის მისწრაფებები სირიაში. ირანის მთავარ ინტერესს წარმოადგენს ასადის რეჟიმის გადარჩენა იმ მიზნით, რომ გაერთიანდეს „შიიტური ნახევარმთვარე“ სპარსეთის ყურიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ამისათვის ირანი იყენებს თავის გავლენას ერაყსა და

ლიბანში და შიიტ მებრძოლებს გზავნის სირიაში ალავიტური რეჟიმის მხარდასაჭერად. ირანი ისრაელის დაუძინებელი მტერია და ამიტომ მისი დასუსტება ისრაელის საგარეო პოლიტიკის პირველადი ამოცანა უნდა იყოს, რომელიც სირიის კონფლიქტზეც გადის. ასადის დაცემა დიდ ზიანს მიაყენებდა ახლო აღმოსავლეთში ირანის გაბატონების ზრახვებს. ისრაელის ინტერესებშია, რეგიონში ირანის გავლენა შესუსტდეს, რომელიც ისრაელს საფრთხეს არ შეუქმნის და სირია კარგა ხანი ვერ მოიცლის გოლანის მაღლობების ტერიტორიული დავისათვის, რამელიც დღეს ისრაელის მიერ კონტროლდება. უახლესმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ისრაელისათვის მისაღები ქაოსი სირიაში არ შედგა და სირიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ისრაელის ეგზისტენციალური მტრის ირანის ისლამური რესპუბლიკის სამხედრო ძალები.

სირიის სამოქალაქო ომიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ როგორც არ უნდა დამთავრდეს ომი სირიაში, სირია ომამდელი სახით, როგორც ქვეყანა აღარ იარსებებს. ამ ყველაფერს კარგად აცნობიერებს ისრაელის სახელმწიფო და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ისრაელი, რაც შეიძლება ნაკლები სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს. ერთის მხრივ, ისრაელს არ აწყობს ასადის ალავიტური ხელისუფლების არსებობა სირიაში, მეორეს მხრივ კი არავინ იცის რას მოუტანს ისრაელს სირიაში რელიგიური უმრავლესობის სუნიტური ხელისუფლების მოსვლაც, რომელმაც შეიძლება წაახალისოს პალესტინური წინააღმდეგობა და ჰამასი გამოიყენოს იარაღად. ამიტომ ისრაელი სირიაში ყველა სცენარისათვის მზადაა, რასაც ადასტურებს ბოლო დროის ისრაელის საგარეო პოლიტიკა.

თავი III

საფრთხეები დღეს და სამომავლოდ, პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები დროის ჭრილში

ქვეთავი I

ისრაელის უსაფრთხოების დილემა სირიის ომის მაგალითზე

1948 წლის 14 მაისიდან, როდესაც ისრაელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ისრაელის სახელმწიფო არის მუდმივ საომარ მდგომარეობაში. ისრაელი არის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია და სათავეში მოსულმა შიიტურმა თეოკრატიულმა რეჟიმმა პატარა ისრაელის გეოგრაფიული გაქრობა დაისახა მიზნად, ყოველ შემთხვევაში, საამისო ლოზუნგები და მოწოდებები ხშირია ირანის მესვეურთაგან. ისრაელის უსაფრთხოებას კიდევ უფრო დიდი საფრთხე დაემუქრა სირიის სამოქალაქო ომის ფონზე, როდესაც სირიაში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე ირანის ისლამური რესპუბლიკა აღმოჩნდა. ამავე დროს, როგორც წინა თავში აღინიშნა, ლიბანის არჩევნებში გაიმარჯვა ისრაელის პრინციპულმა მოწინააღმდგე პარტიამ, ჰესბოლამ, ამიტომაა მთელი ყურადღება ისრაელის მის ჩრდილეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებისაკენ, ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ლიბანის საზღვარზე გამყოფი კედლის მშენებლობა. მთავარი თავსატეხი კი თანამედროვე ისრაელის და მისი უსაფრთხოებისათვის არის უკვე გლობალურ პრობლემად ქცეული სირიის სამოქალაქო ომი, რომელსაც დასასრული არ უჩანს და, ალბათ, დიდხანს არ დასრულდება, ხოლო თუ დასრულდა კომფლიქტური მდგომარეობა, როგორც წინა თავში ითქვა, სირია ძველი სახით აღარასოდეს დაბრუნდება მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე. რაც შეეხება ისრაელის უსაფრთხოების საკითხს, სირიის კომფლიქტის ფონზე, ისრაელი გამალებით აკვირდება სირიაში განვითარებულ მოვლენებს. ასტანის მოლაპარაკების შემდეგ ისრაელი შეეგუა იმ ფაქტს, რომ ის გაუმეზობლდა თავის ეგზისტენციალური მტრის ირანის ისლამური რესპუბლიკის სამხედრო ძალებს (Fridman, 2017. Pg.14). ისრაელმა დაბომბა ირანის სამხედრო ბანაკი სირიის ტერიტორიაზე, რომელიც, მაგალითისთვის, სულ რაღაც

რამდენიმე ათეული კილომეტრით იყო დაშორებული გოლანის მაღლობებიდან. ისრაელის უსაფრთხოებას ემუქრება ირანის ისლამური რესპუბლიკა, (როგორც ამას ისრაელის მთავრობის მესვეურნი ამბობენ) ამიტომაა რომ ისრაელის სახელმწიფო ყოველთვის წინმსწრებ სამხედრო იერიშს ახორციელებს, უამრავია ამის მაგალითი ისრაელის უახლოეს წარსულში და ახლაც ისრაელი სირიის ტერიტორიაზე თავს ესხმის ირანის თუ ჰესბოლას პოზიციებს. გათვალისწინებით იმისა, რომ ისრაელი ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა და, შესაბამისად, თავდაცვითი არეალი ძალიან მცირე აქვს, ისრაელის წინმსწრები სამხედრო იერიში მეტად პრაგმატული ნაბიჯია, რაც წარსულის წარმატებულმა გამოცდილებამ ცხადყო, 1967 წლის ექვს დღიანი ომი შედევრია სამხედრო წარმატების, ზუსტად აღნიშნული ფაქტორი სირიის მწვავე კომფლიქტის ფონზე უნდა იყოს განმაპირობებელი ქნესეთის გადაწყვეტილების, რომლის მიხედვითაც ისრაელის პრემიერ მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს მიეცათ უფლება ქნესეთის გვერდის ავლით გასცენ ბრძანება სამხედრო მოქმედებების. ისრაელი უნდა იყოს, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მიზეზი იმისა რომ ისრაელის მთავარმა მოკავშირემ აშშ-მ მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა ბირთვული შეთანხმების მოლაპარაკება ირანთან, რომელსაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები არ დაეთანხმნენ. ირანმა შეწყვიტა ბირთვული იარაღისათვის ურანის გამდიდრება, მაგრამ აშშ-მ მოითხოვა სრულად შეეწყვიტა ურანის გამდიდრება ირანს, სამრეწველო მიზნითაც კი, რაც არაპრაგმატული ნაბიჯი იყო ნომერ პირველი ზესახელმწიფოს მხრიდან, ჩემი აზრით. დიდი ხნის პაუზის შემდეგ დასავლეთს ჰქონდა შესაძლებლობა ირანთან შეთანხმების და მისი კონტროლის ქვეშ მოქცევის, მაგრამ ტრამპის ადმინისრაციამ ირანთან თანამშრომლობის პერსპექტივა ხელიდან გაუშვა და არც თუ ისე მინიმალური წვლილი ამაში შეიძლება ეჭიროს ისრაელს, რომელიც გამუდმებით ესაუბრება აშშ-სა და დასავლეთ ევროპას ირანიდან მომავალი საფრთხის შესახებ, მით უმეტეს, როდესაც ირანი სირიაში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა რუსეთის ფედერაციასთან ერთად, ისრაელის მეზობლად.

შეიძლება სირიის სამოქალაქო ომის დასრულების სხვადასხვა სცენარებზე და სირიის სხვადასხვა „მომავალზე“ ვისაუბროთ, აქედან გამომდინარე ისრაელის სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს სხვადასხვა რეზულტატისადმი გათვლილი თავისი პოლიტიკა. უკვე

აღინიშნა, რომ ქაოსი სირიაში, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოებას მისაღებია ქვეყნისათვის და რაც უფრო ხანგრძლივი იქნება აღნიშნული ქაოსი მით უკეთესი იქნება ისრაელისათვის. სირია კარგახან ვერ მოიცლის სირია-ისრაელის სადავო ტერიტორიისათვის, გოლანის მაღლობებისათვის. რა გამოწვევის წინაშე აყენებს ისრაელის უსაფრთხოებას დღევანდელი მოცემულობა სირიის ტერიტორიაზე? ასტანის ხელშეკრულების შემდეგ თითქმის მთელ სირიაზე კონტროლი გაინაწილეს რუსეთის ფედერაციამ და ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ. ირანი სირიაში შესვლით თითქმის გაუმეზობლდა მის მთავარ რეგიონალურ მოწინააღმდეგეს ისრაელს, რაც ისრაელის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს, ამიტომაა რომ ისრაელს დროგამოშვებით საჰაერო წერტილოვანი იერიშები მიაქვს სირიის ტერიტორიაზე ირანის პოზიციებზე, რომელიც ალბათ მომავალშიც გაგრძელდება, რაც შეეხება სრულ მაშტაბიან სამხედრო მოქმედებებს ირანსა და ისრაელს შორის ნაკლებ სავარაუდოა უახლოეს მომავალში, ამისათვის არცეთ ქვეყანას არ აქვს რესურსი, რისი მიზეზებიც წინა თავშია დასახელბული.

ობამას ადმინისტრაციის პერიოდში, როდესაც რიგი მიზეზების გამო, ისრაელსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის გაცივება შეინიშნა, ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა რომ ისრაელი უნდა იყოს, პირველ რიგში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე, მიუხედავად ისრაელის პოლიტიკური და სამხედრო ძლიერებისა, ისრაელი, ვფიქრობ, საეჭვოა, მარტო გაუმკლავდეს მის მტრებსა და პოტენციური მტრების სიმრავლეს. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას იჩენს ისრაელის მიმართ და აშშ-ისრაელის თანამედროვე ურთიერთობა შეიძლება ჩაითვალოს ყველა დროის საუკეთესოდ, ისრაელს და მის პოლიტიკას არაერთგვაროვნად აფასებს დასავლეთი. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ხშირად ადანაშაულებენ ისრაელსა და მის მთავრობას ადამიანის უფლებათა დარღვევაში, პალესტინასთან კონფლიქტში. ისრაელის მიმართ კრიტიკით ხშირად გამოდის გაერო, ხოლო იუნესკოს მიერ იერუსალიმის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ აღნიშნული ორგანიზაცია დატოვა აშშ-მ და ისრაელმა. უახლოეს წარსულში მოხდა კიდევ ერთი დიპლომატიური ინციდენტი რეგიონის ორ მნიშვნელოვან ქვეყანას შორის თურქეთსა და ისრაელს შორის, რომელთაც სირიის კონფლიქტისადმი დიდი მგრძნობელობა

ახასიათებთ. თურქეთმა გააძევა ისრაელის ელჩი, რომელსაც თან სდევდა მისი პიროვნული შეურაცხყოფა. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირი გაწყდა, ალბათ აღნიშნულმა აიძულა ისრაელი თურქეთისათვის გადაეხადა სამაგიერო და აღიარა თურქეთის მიერ სომეხთა გენოციდი. ასეთ გეოპოლიტიკურ და საერთაშორისო რეალობაშია ისრაელი და დღემდე ინარჩუნებს პოლიტიკურად ყველაზე სტაბილური ქვეყნის სტატუსს რეგიონში, რომლისთვისაც მოუწევს ბრძოლა მომავალშიც და რომელსაც საფრთხეს უქმნის სირიის სამოქალაქო ომი.

სირიაში ასადისა და მისი მოკავშირე შიიტური ძალების (ჰესბოლა ირანი) ისრაელის წინააღმდეგ ალიანსის შესახებ აღინიშნა, მაგრამ სირიაში, რელიგიური უმრავლესობის ,სუნიტური ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაშიც (უახლოეს მომავალში ამის შესაძლებლობა არ არსებობს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში არ არის გამორიცხული, ყველაფერი დამოკიდებულია ირანისა და რუსეთის რესურსზე სირიაში ყოფნის) ისრაელის უსაფრთხოებას შეიძლება პრობლემები შეექმნას და შესაძლებელია სუნიტური ალიანსის შექმნაც ისრაელის მიმართ. კერძოდ, სირიაში სუნიტური ხელისუფლება უკეთესად გაუგებს პალესტინელ არაბებს და ჰამასს, რომელთანაც ისრაელს დაძაბული ურთიერთობა აქვს. სირიაში ნებისმიერი რელიგიური ჯგუფის თუ პოლიტიკური შეხედულების ხელისუფლების მოსვლის პირობებში, რომელიც შეძლებს ნორმალური სახელმწიფოს შექმნას, ბუნებრივია, გოლანის მაღლობების საკითხი კვლავ აქტუალური გახდება. არ უნდა დაგვავიწყდეს სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების პოზიციაც ისრაელისა და სირიის კომფლიქტის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნები დღეისათვის სიმპათიით არიან განწყობილი ისრაელის მიმართ და ასადის სირიას კრიტიკულად უყურებენ, რაც გამოწვეულია, დიდ წილად, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის ცუდი ურთიერთობით, ხოლო სირიაში სუნიტური უმრავლესობის ხლისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების პოზიციაც შესაძლოა შეიცვალოს ისრაელის სახელმწიფოს მიმართ, მით უმეტეს, თუ რეგიონში ირანის გავლენა შემცირდება. გასათვალისწინებელია თურქეთის პოზიციაც, მის მიერ ლობირებული სუნიტური ძალების მოსვლის შემთხვევაში სირიაში თურქეთი შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკური პარტნიორი სირიის ისრაელის წინააღმდეგ, მით უმეტეს, თუ

გავითვალისწინებთ თანამედროვე თურქეთსა და ისრაელს შორის მკვეთრად დაძაბულ პოლიტიკურ ურთიერთობას - ასე რომ, ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოება დიდი გმამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, სირიაში ყველა შესაძლო სცენარის პირობებში. ისრაელი უნდა იყოს ყველა შესაძლო მოცემულობისათვის მზად. სირიის სამოქალაქო ომი, რომელიც ჩვენი საუკუნის გლობალურ კონფლიქტად იქცა, შეიძლება ისრაელისათვის მომავლის ნაღმად იქცეს, ამას ისრაელის ხელისუფლება კარგად ათვითცნობიერებს და ყველა ბერკეტს იყენებს პრობლემების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ჯერჯერობით კარგად გამოსდის. თანამედროვე მოცემულობაში ნეთანიაჰუს მთავრობის რადიკალური საგარეო პოლიტიკა ამართლებს, ყოველ შემთხვევაში ისრაელის უსაფრთხოებას ჯერ პრობლემები არ შექმნია. სულ სხვა საკითხია რამდენად პრაგმატულია მემარჯვენე კონსერვატიული ხელისუფლების რადიკალური პოლიტიკა მომავლის გრძელვადიან პერსპექტივაში.

ქვეთავი II

სირია-ისრაელის ურთიერთობის დარეგულირების გზები დღეს და სამომავლო პერსპექტივაში

ისრაელსა და სირაას შორის ცუდი ურთიერთობა ისტორიულად არსებობდა. 1948 წლიდან, როდესაც ისრაელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა სირია იყო ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე ისრაელის და ყველაზე მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგე აღმოსავლეთის ფრონტზე. ისრაელ-სირიას შორის ურთიერთობა გამწვავების ახალ სტადიაზე გადავიდა მას შემდეგ, რაც 1967 წლის ექვსდღიანი ომის შედეგად ისრაელმა გოლანის მაღლობები დაიკავა და დღემდე აკონტროლებს აღნიშნულს. ზუსტად გოლანის მაღლობებეის ტერიტორიულმა დავამ გამორიცხა შემდგომში ისრაელსა და

სირიას შორის ურთიერთობის დალაგება. დღესაც ორ ქვეყანას შორის მწვავე პოლიტიკური უთანხმოებას, ძირითადად, განსაზღვრავს ისრაელის მიერ კონტროლირებადი გოლანის მაღლობები. სირიაში ნებისმიერი სახელისუფლო ძალის მოსვლის შემთხვევაში გოლანის მაღლობლების თემა იქნება აქტუალური და, ალბათ, არასდროს შეეგუება ამ ტერიტორიის დაკარგვას სირია, (სხვა საკითხია რამდენად შეძლებს ამ ტერიტორიისათვის ისრაელთან ბრძოლას) თავის მხრივ, ისრაელის სახელმწიფო, ალბათ, არასოდეს დათმობს აღნიშნულ ტრიტორიას (ისრაელისათვის გოლანის მაღლობების სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ უკვე აღინიშნა წინა თავებში). დგება მოცემულობა, რომ ისრაელსა და სირიას შორის ურთიერთობა უნდა დალაგდეს გოლანის მაღლობების დღევანდელი მდგომარეობის გადაუხედავად, რაც ძალიან რთულია.

დღეისათვის ასადის სირია მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე და ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე. რუსეთის ფედერაციის როლზე სირიაში და ასადის ხელისუფლების შენარჩუნებაში მეტყველებს უახლოეს წარსულში ასადის სირიის მიერ აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის აღიარება. Georgien times-თან ვახტანგ მაისაიამ განაცხადა „ბაშარ ასადმა პუტინსა და კრემლს ხარკი გადაუხადა და აღიარების ტენდენცია შეუქმნა“ (ვახტანგ მაისაია, Georgien times) ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთია მთავარი წამმართველი საქმეების სირიაში. დღევანდელი მოცემულობით, ისრაელს-სირიის ურთიერთობა, დიდ წილად, არის დამოკიდებული ისრაელ-რუსეთის ურთიერთობაზე, რომელსაც აქტიურად იყენებს ისრაელის ხელისუფლება. ისრაელის პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ 2017 წლის 23 აგვისტოს სოჭში შეხვდა ვლადიმერ პუტინს. როგორც ებრაული დელეგაციის წევრებმა განაცხადეს საუბარი შეეხო ISIS-ის მიერ დაკავებული ტერიტორიებზე ირანული ძალების ჩანაცვლებას, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ისრაელის სახელმწიფოს. როგორც ჩანს, ისრაელი რუსეთის ფედერაციას განიხილავს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მედიატორად სირიაში, ირანის ისლამური რესპუბლიკასთან მიმართებით. ამას ადასტურებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ოფიციალური შეხვედრა ვლადიმერ პუტინისა და ბენნიამინ ნეთანიაჰუს შორის, რომლის მთავარი მიზეზი ისევ სირიისა და ირანის საკითხი იყო. როგორც The Times of Israel-მა დაწერა, ისრაელმა რუსეთს სთხოვა სირიის სასაზღვრო ტერიტორიაზე

არსებულ პრობლემებში ჩარევა (The Times of Israel, 2017). ამასთანავე ისრაელმა რუსეთს სთხოვა სირიის მხარესათვის გადაეცა, რომ ისრაელი აგრესიულად არ არის განწყობილი სიირიის მიმართ მიუხედავად იმისა, რომ ისრაელმა ავიაიერიშები მიიტანა სირიის ტერიტორიაზე - აქედანაც კარგად ჩანს, რომ რუსეთის ფედერაცია ამოირჩია მედიატორად ისრაელმა სირიასა და ირანთან მიმართებით, რაც პრაგმატული ნაბიჯია ისრაელის მხრიდან კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად, ან პრევენცია შესაძლო კომფლიქტური სიტუაციის თავიდან ასაცილებლად. რაც შეეხება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო განცხადებას, შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთის ფედერაცია ზედმეტი ტვირთის თავიდან აცილებას სცდილობს და არც სირიის კონფლიქტში მოკავშირე ირანთან სურს ურთიერთობის გაფუჭება „მტკიცედ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, გამოიჩინონ თავშეკავება და თავიდან აირიდონ ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია ვითარების კიდევ უფრო გამწვავებასთან მიგვიყვანოს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, სირიისა და რეგიონის სხვა ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა"- დაიწერა რუსეთის საგარეო სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (Министерство иностранных дел Российской Федерации, 2017)

კონფლიქტის გამწვავებას ხელს უწყობს ისრაელ-პალესტინის ურთიერთობა და ისრაელ-ღაზას სექტორის ურთიერთობა, რომელიც ყოველ ჯერზე იძაბება. მდგომარეობა გამწვავდა მას შემდეგ, რაც აშშ-მ და რიგმა სახელმწიფოებმა იერუსალიმი აღიარეს ისრაელის ოფიციალურ დედაქალაქად, რამაც გამოიწვია პალესტინელ არაბთა, და არა მარტო პალესტინელთა, სერიოზული უკმაყოფილება. ამ ფონზე პალესტინელი არაბები, რომელთა უმრავლესობა სუნიტი მუსლიმია, შიიტურ ირანთან, ასადის რეჟიმთან თუ ლიბანის ჰესბოლასთანაც კი არიან მზად სათანამშრომლოდ. იერუსალიმის საკითხი აშშ-მ და ისრაელმა რეგიონში არახელსაყრელ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს დაამთხვიეს, რაც პრობლემებს შეუქმნის ისრაელს, რომლის წინააღმდეგ უკმაყოფილო პალესტინელი არაბები თუ რიგითი მორწმუნე მუსლიმები საუკეთესო იარაღია. ისრაელისათვის ნაღმის ეფექტი აქვს პალესტინის ადმინისტრაციასა და ღაზას სექტორს, რომელიც ძალიან საშიშია, განსაკუთრებით სიირიის სამოქალაქო ომის ფონზე. ალბათ უმჯობესი იქნება

ბენიამინ ნეთანიაჰუს პოლიტიკის შეცვლა პალესტინასთან მიმართებით. დროა მაჰმუდ აბასთან დაჯდეს სალაპარაკოდ ისრაელის მთავრობის ხელმძღვანელი, რომლისაკენ ხშირად მოუწოდებენ ისრაელის მესვეურთ რიგი ევროპის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები. უკმაყოფილო პალესტინელები ირანისა და ასადის სირიის დიდი კოზირია.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, სირიაში ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში, თუ ხელისუფლებაში სუნიტური უმრავლესობის წარმომადგენლები მოვლენ, შეიძლება პალესტინა და ღაზას სექტორი ისრაელისათვის კიდევ უფრო დიდ ნაღმად იქცეს თუ ისრაელი დროზე არ შეეცდება პრობლემის განმუხტვას ქვეყნის შიგნით. ასადის რეჟიმისა და სხვა პოლიტიკური ძალის ხელში სირია დარჩება ისრაელის მოწინააღმდეგე რეგიონში. ურთიერთობის დარეგულირება ყველა შემთხვევაში გადის გოლანის მაღლობების საკითხზე, მაგრამ არის რაღაც ნიუანსები რითაც შეიძლება, გარკვეულწილად, ურთიერთობის ნორმალიზება, მაგალითად, გალილეის ზღვის (ტიბერიადის ტბა) მტკნარი წყლების გაყოფა სამართლიანად და სირიისათვის ნაწილის დათმობა. ორი ქვეყნის ურთიერთობის დარეგურილება დღეს და სამომავლოდ დამოკიდებულია მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებზე, რუსეთის ფედერაციასა და აშშ-ზე. რუსეთის ფედერაციას უკვე აქტიურად იყენებს ისრაელის სახელმწიფო. რაც შეეხება აშშ-ს, აშშ-ს შეუძლია საკუთარი დათმობების ხარჯზე კომფორტი შეუქმნას თავის უპირველეს მოკავშირეს ისრაელს რეგიონში. ეს ნაკლებად წარმოსადგენია ასადის ხელისუფლების პირობებში, მაგრამ სხვა ძალის მოსვლის შემთხვევაში, აშშ-ს აქვს რესურსი სირიის დამოკიდებულების შეცვლის ისრაელის მიმართ და პირიქით. ამის საუკეთესო მაგალითია ისრაელისა და ანვარ სადათის ეგვიპტეს შორის ურთიერთობის დარეგულირება, რომელიც დასრულდა კემდევიდის ხელსეკრულებით, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანა პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ადმინისტრაციამ, რასაც წინ უძღოდა აშშ-ეგვიპტის ურთიერთობის გაუმჯობესება, სადათის ეგვიპტე დიდ მატერიალურ დახმარებას იღებდა აშშ-საგან. სადათი და მენახემ ბეგინი გახდნენ ნობელის პრემიის ლავრეატები მშვიდობის დარგში, აქედან გამომდინარე შეუძლებელი არაფერია თუკი იქნება ოდესმე ისრაელისა და სირიის პოლიტიკური ლიდერების კეთილი ნება. ტრამპის მართველობის პირობებში ჩანს, რომ

კემდევიდის მსგავსი შეთანხმებები ფაქტიურად შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ აშშ-ს ახლანდელი პრეზიდენტის არაპრაგმატულ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში (ტრამპის მიერ სწორხაზოვან პრო-ისრაელურ პოლიტიკას, იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად ცნობას, რეგიონის პოლიტიკურად რთულ ფონზე და ირანთან ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვას, მას შემდეგ რაც ტრამპის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება ირანთან მოლაპარაკების 6 პლუს 1 ფორმატის დატოვების, რომელიც ირანის ბირთვულ პროგრამას ეხებოდა). გასათვალისწინებელია აშშ-ს დემოკრატიული მართველობა და პრეზიდენტის არჩევნების გზით შეცვლის პერსპექტივაც უახლოეს მომავალში, რომლის შემდგომაც შეიძლება აშშ-მ ახლო აღმოსავლეთში პრაგმატული პოლიტიკის გატარება შეძლოს, რომელიც ისრაელ-სირიის ურთიერთობაზეც დადებითად აისახება და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონზეც.

დასკვნა

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი იყო და არის მსოფლიოს ერთ-ერთი რთული რეგიონი. ახალი და უახლესი ისტორიიდან ჩანს, რომ რეგიონში მშვიდობა არ ყოფილა. პირველი მსოფლიოს ომის შემდეგ მიმდინარეობს ამ რეგიონის პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბება, რამელმაც მას შემდეგ უამრავი ქარტეხილი გამოიარა: ისრაელ-არაბთა ომები, ირან-ერაყის ომი, სპარსეთის ყურის ომები და ახლა მიმდინარეობს მსოფლიოს ნომერ პირველი კონფლიქტი სირიის სამოქალაქო ომი, რომელსაც უამრავი ადამიანი შეეწირა და უამრავი დევნილად აქცია. სირიის სამოქალაქო ომი, თავისთავად, არის ერთ-ერთი უმძიმესი მოვლენა მსოფლიო ისტორიაში, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. თავისთავად, სპეციფიური მოვლენაა ისრაელის სახელმწიფოც, რომელიც კუნძულივით მდებარეობს არაბულ სამყაროში და თავის პოლიტიკური ინტერესები გააჩნია სირიის კონფლიქტის მიმართ.

ისრაელის სახელმწიფო, თავის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რეგიონის ყველა კონფლიქტის მიმართ მგრძნობიარე იყო და მგრძნობიარეა სირიის სამოქალაქო ომის მიმართაც, მით უმეტეს, როდესაც კონფლიქტის ერთ-ერთი მედიატორი მისი ეგზისტენციალური მტერი ირანის ისლამური რესპუბლიკაა, რომელიც კონფლიქტს აუცილებლად გამოიყენებს ისრაელის საწინააღმდეგოდ. ასე რომ, სირიის სამოქალაქო ომი დიდ გამოწვევად ექცა ისრაელის სახელმწიფოს. საქმეს ართულებს ისიც რომ ამ კომფლიქტისადმი, ირანის გარდა, უამრავ სხვა სახელმწიფოსაც თავისი პოლიტიკური ინტერესები გააჩნია, ინტერესები კი, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს არ ემთხვევა.

ისრაელის გეოპოლიტიკური კოდის გავლენა არის საკმაოდ მაღალი სირიის სამოქალაქო ომში და სირიაში განვითარებული პროცესებს გააჩნია საკმაოდ დიდი გავლენა ისრაელის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე, რაშიც ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიულ დავას. გოლანის მაღლობებთან განვითარებული რთული გეოსტრატეგიული ვითარება უშუალოდ ეხება ქვეყნის ეროვნულ სასიცოცხლო ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელს დიდ პრობლემებს უქმნის სირიის კონფლიქტი, საკუთარი ისტორიიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ქვეყანას

გააჩნია ძლიერი თავდაცვითი იმუნიტეტი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ გამოწვევას სათანადოდ გაუმკლავდს. გამომდინარე ისრაელის გეოპოლიტიკური კოდის უნივერსალობიდან, რომელიც მრავალი წელია ფუნდამენტურად უცვლელი რჩება, დღეისათვის სირიის კომფლიქტი გაიყინა, იქ ყველაფრის წამმართველი რუსეთის ფედერაცია და ირანია, მდგომარეობა უცვლელი დარჩება ვიდრე რუსეთი და ირანი იქ ყოფნას შეძლებენ. ისრაელს კი, ალბათ, ყველა შესაძლო სცენარისათვის ექნება სამომავლო გეგმა.

გამოყენებული ლიტერატურა

- გაჩჩილაძე, რ. (2011) ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- გელოვანი, ნ. სანიკიძე, გ. (2009) ისლამი (რელიგია, ისტორია ცივილიზაცია). უნივერსიტეტის გამომცემლობა
- გელოვანი, ნ. (2008) თანამედროვე არაბული ქვეყნები. გამომცემლობა უნივერსალი
- ჰერცოგი, ხ. მთარგმნელი გორგაძე, რ. გოგოლაძე, ნ. (2007) ისრაელ-არაბების ომები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- ბჟეზინსკი.ზ. მთარგმნელი ათანელიშვილი, ა. (2014) გამომცემლობა არტანუჯი
- დავითაშვილი, ზ. ჟურნალი პოლიტიკა N12. გეოპოლიტიკა ცივი ომის ეპოქაში https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political_master/SJSS-Instruction-Authors%20(1).pdf
- გორგილაძე, ი. (2009) გეოპოლიტიკის საფუძვლები. გამომცემლობა უნივერსალი https://taxuna.files.wordpress.com/2015/11/e18398e183a0e18390e18399e1839ae18398-e18392e1839de183a0e18392e18398e1839ae18390e183abe18394-geopolitikis-safudzvlebi.pdf
- გაჩეჩილაე, რ. ჟურნალი ჩემი სამყარო. სტატია, უძლიერესი პატარათა შორის https://gfsis.org/files/my-world/10/regioni.pdf
- Rabinovich, I. (2012) ISRAEL'S VIEW OF THE SYRIAN CRISIS. https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/Rabinovich-web-final.pdf
- Hadar, M. (2017) THE WAR IN SYRIA: AN ISRAELI PERSPECTIVE. https://www.google.ge/search?q=google+translate&oq=goo&aqs=chrome.4.69i60l4j35i39j69i57.3693j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8
- Friedman, G. (2017) Israel and Iran in Syria. https://www.google.ge/search?biw=1350&bih=643&ei=JtksW-LvGsuP6AThmaTAAQ&q=situation+in+syria+and+israel+pdf&oq=situation+in+syria+and+israel+pdf&gs_l=psy-ab.12...18364.22906.0.25483.11.11.0.0.0.0.348.1264.0j3j2j1.6.0.2..0...1.1.64.psy-ab..5.3.569...33i10k1.0.vvw_fZVmig0

- Hanauer, L. (2016) Israel's Interests and Options in Syria. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/perspectives/PE100/PE185/RAND_PE185.pdf
- **Aljazeera. Israel's Position on the Syrian Conflict.** http://studies.aljazeera.net/en/
- BBC. (2012) Syria http://downloads.bbc.co.uk/mediaaction/pdf/syria.pdf
- BBC. (2018) **Foreign policy experts on future conflict.** https://www.facebook.com/bbcnews/videos/10155738171987217/
- The Jerusalem post. (2018) https://www.jpost.com/Israel-News/PM-Israel-will-hit-Iran-throughout-Syria-not-only-along-border-560165
- Б. Долгов. СИРИЙСКИЙ УЗЕЛ. https://www.imemo.ru/files/File/magazines/Zapad_Vostok/2016/Siriyskiy_Dolgov.pdf
- **Израиль, «Хезболла» и Иран: предотвратить новую войну в Сирии.** https://www.crisisgroup.org/ru/middle-east-north-africa/eastern-mediterranean/syria/182-israel-hizbollah-and-iran-preventing-another-war-syria
- **Министерство иностранных дел Российской Федерации.** http://www.mid.ru/ru/home
- ისრაელის ინტერესები სირიაში, შეერთებული შტატების პოზიცია და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება, http://politforumi.com/geo/1451/israelis-interesebi-siriashi--sheertebuli-shtatebis-pozicia-da-kavkasiis-regionis-usafrtxoeba.html
- მაისაია, ვ. **Georgien times.** http://geotimes.ge/index.php?m=2&news_id=56149

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Social-politikal peculty

Master's Thesis in Human geography

Israel's geopolitical code and the Syrian civil war

historical-geographical aspects

Levan Modebadze

The head of the thesis: professors Vakhtang Maisaia, Giorgi Gogsadze

2018

year